გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№13 (1654) 12 — 18 აპრილი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

შემაძრწუნებელი დანაშაულებრივი სქემა – როგორ ჰყიდიან ქართველ ქალებს და მამაკაცებს თურქეთში მონებად

გაუხმაურებელი სპეცოპერაციის სკანდალური დეტალები

თაკო ჩარკვიანი: „ვერ ვიტან ცუღლუტ ტიპებს!“

„პირველად თქვენთან ვამბობ, ცოტა ხანში უმნიშვნელოვანესი ამბავი გამოვა“...

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„დარწმუნებული ვარ, სანქციებს ევროპელებიც შეუერთდებიან!“

რა სამართლებრივი და პოლიტიკური დატვირთვა აქვს აშშ-ის მიერ მოსამართლეთა დასანქცირებას – ლია მუხაშავრიას განმარტებები

„ძიალოგი“ ეშმაკთან – რა გზა განვლო სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი მთავარსარდლის ცხოვრებიდან

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ე.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 9 აპრილს, თბილისში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1972 წელს დაბადებულ მ.შ.-ს.

პოლიციამ, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულში ბრალდებული ე.მ. ცხელ კვალზე დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებადაა ამოღებული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში, საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან შერაზ გასრისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა, რომელსაც ასევე ესწრებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის შიდა უსაფრთხოების ატაშე ოლივიე ლეფებვრი.

მინისტრმა ელჩს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრის ფარგლებში, ხაზგასმით აღინიშნა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობა.

ვახტანგ გომელაურმა ფრანგულ მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების მუდმივი მხარდაჭერისთვის. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საფრანგეთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოკავშირე და პარტნიორია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. ვახტანგ გომელაურმა სტუმრებს უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა ასევე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე. ვახტანგ გომელაურმა იმედი გამოთქვა, რომ არსებული თანამშრომლობა საერთო ძალისხმევით კიდევ უფრო გაღრმავდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უნგრეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში, უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ანა მარია შიკოსთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა მიმართულებით არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და უნგრეთის სამართალდამცავ უწყებებს შორის ჩამოყალიბებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე, რომელიც მოიცავს, როგორც ოპერატიულ, ასევე, არაოპერატიულ მიმართულებებს.

უნგრეთის რესპუბლიკის ელჩმა ვახტანგ გომელაურს უნგრეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შანდორ პინტერის ოფიციალური მიწვევა გადასცა და აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი უნგრეთის რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და განმტკიცებას.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა ელჩს მადლობა გადაუხადა უნგრეთის მხარის მიერ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისთვის, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში მიეცემა შესაძლებლობა, თავისი უნგრელი კოლეგის მიწვევის საპასუხოდ, ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს უნგრეთის რესპუბლიკას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი სამი პირი დააკავა, ხოლო ერთ პირს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე, წარსულში ნასამართლევი სამი პირი დააკავეს, ხოლო ერთ პირს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

1989 წელს დაბადებული ზ.ბ. (მეტსახელად, „ზაკუნა“) დაკავებულია „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით, ხოლო 1981 წელს დაბადებული ლ.ბ. (მეტსახელად, „ჩაქუჩიჩი“) და 1995 წელს დაბადებული დ.გ. სამართალდამცველებმა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის დააკავეს.

რაც შეეხება 1979 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ დ.თ.-ს (მეტსახელად, „ტაისონა“), მას „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

დანაშაულები 6-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დაადგინა, რომ დ.თ.-სა და ზ. ბ.-ს შორის ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის ნიადაგზე წარმოიშვა დავა, რის გამოც დ.თ.-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზ.ბ.-ს. მან „კანონიერ ქურდს“ მიხეილ ჩაფიჩაძეს (მეტსახელად, „მაჩვიჩი“) მიმართა, რომლის გადაწყვეტილებით, ზ.ბ.-მ, ლ.ბ.-მ, დ.გ.-მ და მათმა თანმხლებმა პირებმა დ.თ.-ს საპასუხოდ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

მოდავე მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის „ქურდული კანონების“ თანახმად მოგვარების მიზნით, საზღვარგარეთ მყოფმა „კანონიერმა ქურდმა“ ჯეირან კინწურაშვილმა, თურქეთის რესპუბლიკაში მოაწყო „ქურდული გარჩევა“ და მხარეების შერიგების თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება.

ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადგინდა, რომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირის ბრალდებით დაკავებული და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტზე ბრალწარდგენილი პირები აქტიურად მონაწილეობდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაში, პირადი კონფლიქტებისა თუ ფინანსური დავების „ქურდული წესებით“ გადაწყვეტისთვის უკავშირდებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს, აგრეთვე, საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ და მათგან მითითებებს იღებდნენ.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მესამე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

„დარწმუნებული ვარ, სანქციებს ევროპელებიც შეუერთდებიან!“

რა სამართლებრივი და პოლიტიკური დატვირთვა აქვს აშშ-ის მიერ მოსამართლეთა დასანქცირებას – ლია მუხაშავრიას განმარტებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს სანქციები დაუწესა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ბლინკენის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მათ და მათი ოჯახის წევრებს მოქმედი ვიზები კორუფციული საქმიანობის გამო გაუუქმდათ: „დღეს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ახდენს მიხელ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, ირაკლი შენგელიასა და ვალერიან ცერცვაძის საჯარო სანქცირებას, ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(c) წესის საფუძველზე, მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო. აღნიშნულმა პირებმა, ბოროტად გამოიყენეს მათი თანამდებობა, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითაც ზიანი მიაყენეს სამართლის უზენაესობასა და საზოგადოების ნდობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერას დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გაძლიერების კუთხით და გააგრძელებს იმ პირთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, რომლებიც პირადი სარგებლის მიზნით, ბოროტად იყენებენ საჯარო უფლებამოსილებას. ჩვენ ყველა იმ მოსამართლის გვერდით ვდგავართ, რომლებსაც აქვთ გამბედაობა და კეთილსინდისიერება, იმოქმედონ მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად“. სანქცია ეხება არა მხოლოდ ამ მოსამართლეებს, არამედ, მათი ოჯახის წევრებსაც. რა სამართლებრივი და პოლიტიკური დატვირთვა აქვს აშშ-ის მიერ მოსამართლეთა დასანქცირებას? – „ვერსია“ სამართლის საკითხების ექსპერტს, იურისტ ლია მუხაშავრიას ესაუბრა:

– ეს სანქციები განკუთვნილია იმ ოთხი პირის მიმართ, რომლებიც კლანის ორგანიზატორები, დამფუძნებლები და მისი მმართველები არიან ანუ პრაქტიკულად, თითქმის, თავიდან ბოლომდე აკონტროლებენ სასამართლო სისტემას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ კარგად ნაფიქრი იყო ამ ადამიანების წინააღმდეგ სანქციის გამოცემა სწორედ ახლა, რაც მრავალი მნიშვნელობის მატარებელია – ერთი მხრივ, თუ ხელისუფლება გონივრულად მოიქცევა, კლანის ამ ხელმძღვანელებს, ამ საბაბით მოაშორებს სისტემას, რაც სასამართლო სისტემის ნამდვილი გაჯანსაღება იქნება.

მეორე მხრივ კი, თუ ხელისუფლება დაიცავს მათ და გადაეფარება, რისი ნიშნებიც აშკარად გამოჩნდა, ვფიქრობ, სანქციების სისტემა გაფართოვდება და არა მარტო მოსამართლეებისა და კონკრეტული პირების მიმართ იქნება მიღებული, არამედ, პოლიტიკური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგაც და ეს პროცესი, შეიძლება, გაგრძელდეს უსასრულოდ, ვიდრე შედეგს არ გამოიღებს...

არ მგონია, მურუსიძის თავხედური განცხადებით – ბაბუაჩემიც არ ყოფილა აშშ-ში და არაფერი მიშავსო – დასრულდეს ეს ამბავი.

ეს ძალიან სერიოზული ნიშანი, კონკრეტული ღონისძიებაა და მახსოვს, 1996 წლიდან, როცა საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა დაიწყო, ამერიკელებს ლომის წილი აქვთ ამ რეფორმის განხორციელებაში არა მარტო იმით, რომ აფინანსებდნენ ყველა ამ ღონისძიებას, არამედ, იმითაც, რომ ჩვენს ქვეყანაში გზავნიდნენ მსოფლიოში ცნობილ იურისტებს, ექსპერტებს, რომლებსაც უნდა გაეწიათ დახმარება, რათა როგორმე, ეს სისტემა შეცვლილიყო. თუმცა, ვფიქრობ, ყველაზე მეტად ისინი მიხვდნენ, რომ შედეგი არ არის და ახლა შეიცვალა დამოკიდებულება – გაჩნდა სანქციები.

– ქალბატონო ლია, თუკი ამ სანქციების გამო, მოსამართლეთა კორუფციული სამიქმიანობების გამოძიება დაიწყება, კანონი უვადოდ დანიშნული მოსამართლეების უფლებამოსილების შეჩერებას გულისხმობს?

– რა თქმა უნდა, უვადოდ დანიშნული მოსამართლე ისეთი იმუნიტეტით აღჭურვილი პირი არაა, რომ მის მიმართ სადამსჯელო ღონისძიების გამოყენება არ შეიძლებოდეს.

უფრო ლოგიკური და გონივრული იქნებოდა, მათ შეჩერებოდათ უფლებამოსილება, ვიდრე გამოძიება დაიწყებოდა. კიდევ უფრო რთული საკითხია, გამოძიებას ვინ ჩაატარებს; რამდენად იქნება ეს გამოძიება ობიექტური და მიუკერძოებელი ანუ ამ კრიტერიუმს რამდენად დააკმაყოფილებს ის საგამოძიებო ორგანო, რომელმაც გამოძიება უნდა ჩაატაროს.

ვგულისხმობ იმას, რომ ეს არ უნდა იყვნენ არც სახელმწიფოს საგამოძიებო ორგანოები და არც – სახელმწიფოს საჯარო მოხელეები, რომლებიც გამოძიების ფუნქციას ასრულებენ. სავარაუდოდ, ეს შეიძლება ყოფილიყო დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია, რომელსაც შექმნიდა პარლამენტი, მაგრამ ჩემი აზრით, არა მხოლოდ პარლამენტარებისგან უნდა იყოს შემდგარი, არამედ, მასში უნდა შედიოდნენ დამოუკიდებელი ადამიანები, რომელთაც აქვთ საზოგადოების ნდობა და რეპუტაცია... მაგრამ, ამ საკითხებზე საუბარი დღეს, მგონი, ძალიან შორეული პერსპექტივაა, რადგან ვხედავთ, რომ ასეთი მოძრაობა არ ხდება და არ გვაქვს.

– ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაშიც მოხდება თუ არა ეს, ალბათ, არც ამის გარანტია არსებობს, რადგან ეს მოსამართლეები, სწორედ წინა ხელისუფლებიდან გაიცნო და დაიმახსოვრა საზოგადოებამ, გახმაურებული საქმეებით...

– სამწუხაროდ, ხელისუფლებები იცვლებიან და სასამართლო სისტემა უარესდება. ჯერჯერობით, არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ ეს ცვლილება რეალურად განხორციელდეს.

– ქალბატონო ლია, როგორც ინტერვიუს დასაწყისშივე თქვით, ამ სანქციების გამოტანას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა... სწორედ ახლა, ამ პოლიტიკურ კონტექსტში, როცა ევროინტეგრაციის გზაზე ვდგავართ, როგორ ფიქრობთ, აშშ-ის სანქციებს ევროპაც შეუერთდება?

– რა თქმა უნდა, ევროპელებიც შეუერთდებიან, დარწმუნებული ვარ!

თაკო ჩარკვიანი: „ვერ ვიტანთ ცუღლუტ ტიპებს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34



„პირველად თქვენთან ვამბობ, ცოტა ხანში უმნიშვნელოვანესი ამბავი გამოვა“...

დამოუკიდებელი დეპუტატი, პარტიის – კანონი და სამართალი თავმჯდომარის, თაკო ჩარკვიანის განცხადებით, ხელისუფლების დავალებით, ნიკა გილაური აპირებს პარტიის შექმნას, რომელშიც გაწევრიანდება ნიკანორ მელია და ხატია დეკანოიძე. ნიკა გილაური კი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო, უარყოფს ამ ინფორმაციას: „ძვირფასო ფბ-მეგობრებო, ათი წელია, არანაირი პოლიტიკური განცხადება არ გამიკეთებია და არცერთი ინტერვიუ (პოლიტიკურ თემაზე) არ მიმიცია.

არც გუშინ, საღამოს ეთერში გაკეთებულ განცხადებებზე ვაპირებდი გამოხმაურებას, მაგრამ იმის გამო, რომ მერე ვინმემ არ თქვას, „გაჩუმება ნაწილობრივ მაინც თანხმობის ნიშანიაო“, ან „თუ ეგრე არ იყო, ფბ-ზე დაგეწერა მაინცო“, ვწერ:

აბსოლუტურად ყველა, გუშინ, საღამოს ეთერში გაკეთებული განცხადება ჩემ შესახებ არის სრული სიცრუე, გარდა ერთისა – მართლა ვიყავი საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2009-2012 წლებში და მართლა ბევრი კარგი რამე მაქვს ამ ქვეყნისთვის გაკეთებული“, – წერს გილაური Facebook-ზე. გილაური-მელიას მიერ ახალი პარტიის შექმნის დეტალებზე, „ვერსია“ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა:

– ეს ინფორმაცია გადავამოწმე და ისე განვაცხადე. მეოთხედი მოვყევი იმ სქემის, რაც უნდა წარმოდგენილიყო. მგონია, რომ ფასი დავუკარგეთ ამ პარტიის შექმნას, როცა ეს გავიგეთ და ინფორმაცია გამოვიტანეთ. მე, პირადად, ჯერ გამიკვირდა ამ გვარის ხსენება – გილაურის. ყოველთვის ფაქტებით მიყვარს საუბარი და როცა მან თქვა, არ ჩავრეულვარ პოლიტიკაში და ათი წლის განმავლობაში ჩემი ხმა არ გაუგიათო, პარალელურად, სრულიად დამოუკიდებლად, ლევან ბეჟაშვილმა ეთერში ძალიან გულწრფელად მოჰყვა, რომ გილაურს არათუ ხმა არ ამოუღია, არამედ, სამი წლის წინ, ნაციონალურმა მოძრაობამ პრემიერად დაასახელა და მან მოითხოვა ძალიან დიდი სია, რაზეც უარი მიიღო.

ჟურნალისტმა ჰკითხა, ხომ არ განაწყენდა გილაურიო. ბეჟაშვილმა უპასუხა – არა, პირიქით, ნაწყენები ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, ოპოზიციაში რომაა და ბოლო წლებია, ერთხელ რომ არ შემოუხედავს პარტიაშიო...

ყოფილი ხელისუფლების დროს, მე ოპოზიციაში ვიყავი. სულ მეუბნებიან, ეს შეცდომა იყოო, მაგრამ შეცდომა როგორ იყო?! იმ სამართლებრივ სისტემას ვებრძოდი, რომელსაც ახლაც ვებრძვი და მაშინ მურუსიძე, რომლის პლაკატიც მეჭირა გირგვლიანის დროს, რიგითი იყო, ახლა კი პირველი კაცია! არავინ იფიქროს, რომ ყველაფერი ცუდი უნდა დაიმახსოვროს ადამიანმა და ყველაფერი კარგი უგულებელჰყოს. მახსოვს, რომ სააკაშვილმა შექმნა სახელმწიფო ინსტიტუტები, ეს არაფრით მავიწყდება, თორემ არც ის მავიწყდება, ოპოზიციაში რის გამო ვიყავი...

ყველაფერი ეს რომ მახსოვს, ისიც მახსოვს, ვინ იყო 26 მაისის აქციის დარბევის დროს პრემიერი – ნიკა გილაური.

რომ მეუბნებიან, მერაბიშვილს რატომ არ ახსენებო?

– მერაბიშვილი იმდენჯერ ვახსენეთ მე და ჩემნაირმა ოპოზიციონერებმა, რომ იჯდა ეს კაცი, მოიხადა სასჯელი. ამიტომ მანიაკივით, კიდევ ხომ არ დავუწყებ, შენს პარტიას რატომ გულშემატკივრობ-თქო? – თავისი პარტიაა ნაციონალური მოძრაობა, დამფუძნებელი მერაბიშვილია და ხატია დეკანოიძემ ახლა გაიგო, რომ მერაბიშვილის დაფუძნებულ პარტიაში იყო? მისი უწყების მაღალჩინოსანი იყო და გაგიგიათ დეკანოიძის პროტესტის იმ წლებში? – არა! ვერ ვიტან ცუღლუტ ტიპებს!.. ამიტომ ვნახეთ, რომ გილაურს კითხვა არავინ დაუსვა და პასუხი არავინ მოსთხოვა არაფერზე. არ ვიცი, ახლა როგორ წავა ამ პარტიის შექმნის საქმე, რადგან ვფიქრობ, „გავუხუნეთ“ სურვილები, რაც ბუნებრივია... ასეთი ლუსტრირებით, ვფიქრობ, ხელი შევუშალეთ, ჯერჯერობით...

გავაგრძელებ გილაურის შესახებ საუბარს – 2015 წელს ისე ყვაოდა, რომ 120 მილიონად გაიყიდა წყლის კომპანია და 240 მილიონი დოლარის ვალდებულებას, რომელიც აიღო, ყიდვიდან 11 თვეში უხსნის სახელმწიფო ყოფილ პრემიერს, რომელსაც კითხვაც არ დაუსვეს 26 მაისის დარბევაზე. სულ ცოტა, შერჩევითობასთან ხომ გვაქვს საქმე? ასეთი რამდენიმე სქემაა ნიკა გილაურთან დაკავშირებული და პარტიასაც, რომელსაც ქმნიდნენ, მისი ძმა აფინანსებდა.

მოდით, პოლიტიკურად მივუდგეთ ამ საკითხს – სხვათა შორის, გიორგი ვაშაძემ სწორი განცხადება გააკეთა, გვარები არ ვიცი, მაგრამ ივანიშვილი შეეცდებოდა ოპოზიციაშივე პარტიის შექმნასო... ოპოზიციაში შექმნიდა პარტიას, აბა, „ოცნებიდან“ ხომ არ შექმნიდა?

– და ფიქრობთ, რომ ივანიშვილი იდგებოდა ამის უკან?

– იდგებოდა არა, დგას, მისი პროექტი იყო. იმ ქვეყანაში, სადაც დანგრეულია ბიზნესი, სასამართლოში საქმეები აქვთ ბიზნესმენებს, მაგალითად, ხაზარაძეს წაართვეს ანაკლია...

პირველად თქვენთან ვამბობ, ცოტა ხანში უმნიშვნელოვანესი ამბავი გამოვა ჩემი ოჯახის ბიზნესთან დაკავშირებით, გაოცდებით! იმის თქმა მინდა, რომ თუ ოპოზიციაში ხარ და ნამდვილად, პირუთვნელად იბრძვი, გინადგურებენ ყველაფერს... ყოფილ პრემიერს კი, რომლის სახელსაც უკავშირდება 26 მაისის აქციის დარბევა... მაპატიეთ, მაგრამ მინდა, ობიექტური ვიყო – „თვალთხარიას“ ვეძახი გახარიას, ღარიბაშვილს 5 ივლისზე ვთხოვ პასუხს და 26 მაისის დარბევის დროს, პრემიერი იყო გილაური! კითხვა ჩნდება, როგორ ხდება, რომ სახელმწიფო ჩუქნის მილიონებს? – 240 მილიონ დოლარს რომ აჩუქებს, მერე „ვალდებულება“ აქვს, როგორც ჩანს, რომ პარტია გააკეთოს.

– ნიკა მელიაც ახსენეთ ამ კონტექსტში, რა დეტალებს ფლობთ ამ საკითხზე?

– ნიკა მელიასთან იყო მოლაპარაკება.

– რომ ნაციონალური მოძრაობა დაეშალა და გილაურის პარტიას შეერთებოდა?

– რა თქმა უნდა, მანამდე ნიკას სხვასთან სურდა ამის გაკეთება, მაგრამ როგორც სჩვევია, იცუღლუტა და პარალელურად აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ ადამიანთან. სადაც ნიკა მელიაა, იქ რომ ყოველთვის არის ხატია დეკანოიძეც, ეს პოლიტიკურ წრეში ყველამ იცის. ვგულისხმობ, პოლიტიკურ საქმიანობას...

„ძიალოგი“ ეშმაკთან – რა გზა განვლო სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე

ნინო დოლიძე

ქართულ პოლიტიკაში მის გამოჩენას არც მეტეორის ჩამოვარდნის ეფექტი ჰქონია და არც – ცუნამის, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ხანმოკლე აჟიოტაჟი მაინც გამოიწვია, რაც მისი პერსონით კი არა, უფრო სტატუსით იყო გამოწვეული ანუ მანამდე მსოფლიო პოლიტიკას არ ახსოვდა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქე და დიპლომატი მეორე ქვეყნის საგარეო უწყების პირველი პირი გამხდარიყო. ისე, ზოგმა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ეს ახირება იმთავითვე „ქაჯობად“ მონათლა და ისიც იწინასწარმეტყველა, რომ სალომე ზურაბიშვილის ნაციონალურ მთავრობაში გამოჩენა „ვარდების რევოლუციის“ „ჩე გევარას“ ძვირი დაუჯდებოდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს პროგნოზი ახდა – გამოხდა ხანი და, საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილმა და „ფრანციცულად“ განათლებულმა სალომემ, რომელიც თავს სახელოვანი წინაპრებით იწონებდა და იწონებს (ჩვენში დარჩეს და, სხვა საამაყო, პრაქტიკულად, არაფერი აქვს), სააკაშვილი ლამის ცოცხლად დამარხა.

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი მთავარსარდლის ცხოვრებიდან

საერთოდ, ისინი, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახლოს იცნობენ, ამბობენ, რომ ზურაბიშვილი არაპროგნოზირებადია ანუ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის იქ თხრის, სადაც უნდა გათხაროს. ჰოდა, პრეზიდენტობის მეხუთე წელს, სალომე ზურაბიშვილმა სწორედ იქ გათხარა, სადაც უნდა გაეთხარა ანუ ძველი პროგნოზი ახდა და ქვეყნის მთავარსარდალი მმართველ გუნდს, პრაქტიკულად, ღიად დაუპირისპირდა. ზოგადად, ამ ორი პოლიტსუბიექტის უთანხმოება წელს არ დაწყებულა. გასულ წელსაც იგრძნობოდა, რომ ზურაბიშვილსა და მმართველ გუნდს შორის ისეთი იდილია აღარ არსებობდა, როგორიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევების წინ იყო.

რატომ აიცრუეს ერთმანეთზე გული? – ეს ცალკე საუბრის თემაა. დღეს, „ვერსია“ სალომე ზურაბიშვილის წარსულს კიდევ ერთხელ გაგაცნობთ, რადგან ყველფერი ახალი, ხომ, კარგად დავიწყებული ძველია.

თავდაპირველად, ე.წ. ფრანგი დიპლომატის ოფიციალურ დოსიეს გავეცნოთ.

როგორც ქართული „ვიკიპედია“ იუწყება, ***„სალომე ზურაბიშვილი 1952 წლის 18 მარტს, პარიზში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, წლების მანძილზე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის ოჯახში დაიბადა. 1972 წელს, დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 1973 წელს – კოლუმბიის უნივერსიტეტი, 1981 წელს კი – პარიზის სახელმწიფო მართვის ეროვნული სკოლა. დიპლომატიური კარიერა დაიწყო 1974 წელს, რომში (კირინალი), საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივანის თანამდებობით. 1977-1980 წლებში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ იორკი), საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის მეორე მდივნის თანამდებობაზე. 1980-1984 წლებში იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის თანამშრომელი. 1984-1988 წლებში – ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივანი; 1988-1989 წლებში – ვენაში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის პირველი მდივანი. ასევე, კონვენციური შეირაღების შემცირების საკითხში საფრანგეთის მომლაპარაკებელი ჯგუფის უფროსი; 1989-1992 წლებში – ნჯამენაში (ჩადი) საფრანგეთის საელჩოს მეორე მრჩეველი; 1992-1993 წლებში – ბრიუსელში, ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის პოლიტიკური მრჩეველი; 1993-1996 წლებში – ბრიუსელში, დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 1996-1998 წლებში – პარიზში, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველი.***

1997-1998 წლებში მუშაობდა პარიზში, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციაში; 1998-2001 წლებში – პარიზში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განიარაღების დეპარტამენტის სტრატეგიის საკითხთა სამმართველოს უფროსად; 2001-2003 წლებში – პარიზში, ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო, სტრატეგიულ საკითხთა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორად.

2003-2004 წლებში იყო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში; 2004-2005 წლებში – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; 2005-2006 წლებში – „სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის“ ლიდერი; 2006-2010 წლებში – პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი; 2006-2016 წლებში – საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი; 2010-2015 წლებში – გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის კოორდინატორი“.

არაოფიციალური ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის პირველი კომუნიკაცია გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ანუ იმ დროს დამყარდა, როცა ქალბატონი ზურაბიშვილი გაერო-ში მუშაობდა. ამბობენ იმასაც, რომ თავის დროზე, ზურაბიშვილი საფრანგეთის საგარეო უწყებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებს კურირებდა, თუმცა ეს არაოფიციალური თანამდებობა იყო. თუ ამ ვერსიას გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ მან რუსული ენა, როგორც იტყვიან, საყველპუროდ მაინც უნდა იცოდეს, თუმცა როცა საქართველოს საგარეო უწყებას ჩაუდგა სათავეში და შეხვედრებს ლავროვთან მართავდა, ხაზგასმით აღნიშნა, რუსული არ „მეკერკეებაო“ და ამიტომ, რუს კოლეგასთან თარჯიმნის დახმარებით ურთიერთობდა. ეს ჟესტი, შესაძლოა, დადებით შტრიხადაც ჩაითვალოს, მაგრამ მაშინვე ითქვა, რომ აქცენტის რუსულის არცოდნაზე გაკეთებით, ზურაბიშვილი თითქოს წარსულს მალავდა ანუ არ სურდა, საზოგადების გარკვეულ ნაწილს გასჩენოდა კითხვა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მას რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან?

დღეს ქალბატონი ზურაბიშვილი არათუ თავს იწონებს, არამედ, სასაცილოდაც არ ჰყოფნის, როცა რუსეთის რეზიდენტს ეძახიან. მისი და კრემლის თანამშრომლობის ოფიციალური დოკუმენტები, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ანუ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა, ინტერნეტში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1991-92 წლების თბილისის სისხლიანი მოვლენების დროს, ქალბატონი ზურაბიშვილი „პუტჩისტების“, ესე იგი, სიგუა-კიტოვან-იოსელიანის მეხოტბე იყო და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ ტრიოს უკან კი, მოგეხსენებათ, რუსეთი იდგა.

ამის შესახებ პირველი ცნობა „ქართული მარშის“ ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ გაავრცელა და სოციალურ ქსელში დაწერა:

„აი, ვის შემოტენვას ცდილობენ პრეზიდენტად: სალომე ზურაბიშვილი, ზვიად გამსახურდიას დამხობის შესახებ – „სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა წარმოადგენს გამსახურდიას დიქტატურასთან მებრძოლ და დემოკრატიის აღმდგენ ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოს. დემოკრატიისათვის ბრძოლა გულისხმობს დიქტატორისა და დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას, ამ ბრძოლაში აჯანყებაზე ლეგიტიმური და კანონიერი ფორმა კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონია. ვერავინ დასწამებს ცილს სამხედრო საბჭოს, რომ მან არ შესთავაზა დიქტატორს (გამსახურდია) თავისი ნებით გადადგომა, რომ უარეყო ხელისუფლების უზურპაცია და აღედგინა დემოკრატიული წყობა, მაგრამ დიქტატორმა (გამსახურდია) არ ინდომა ეს და დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება, სროლა დაიწყო, რითაც სავსებით დაადასტურა თავისი არაკანონიერება. ამის შემდეგ, ერთადერთი კანონიერი და სამართლიანი გზა რჩებოდა – სამხედრო აჯანყების გზით დიქტატორის (გამსახურდია) დამხობა“, – ჟურნალი „ივერია“, 1992 წელი“.

„ვერსიამ“ ინტერნეტში ჟურნალ „ივერიის“ შესახებ ინფორმაცია მოიძია. ინტერნეტსაიტზე – simartle.altervista.org – ვკითხულობთ:

„სალომე ზურაბიშვილისა და ჯანრი კაშიას გველურ ჟურნალში – „ივერია“ მრავლადაა საქართველოს ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების მიმართ ცილისმწამებლური გამოხტომები და არაორაზროვნად ჩანს ჟურნალის რედაქტორებისა და ავტორების ანტიეროვნული და ანტიქართული ქმედება“.

აქვე, მოყვანილია ზვიად გამსახურდიას მიერ, 1991 წლის 2 თებერვალს, „რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედაქციასთან ნათქვამი ფრაზა: „საქართველო მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია.

გესმით, კრემლის აგენტურის ხელშია. პირველ რიგში, კაშია, ლაშქარაშვილი, კლიმიაშვილი და აი, ესენი დათარეშობენ ეთერში და მსოფლიოს წამლავენ“...

ამონარიდი ზემოხსენებული საიტის წერილიდან: „წარმოდგენილი სტატიები დაწერილია უშუალოდ ანტიქართული პუტჩის წინა ხანებში (მათშია მოწოდება პუტჩისადმი) და უშუალოდ პუტჩის მომდევნო პერიოდში (მათშია უპირობო და სრული მხარდაჭერა კრიმინალური გადატრიალების შედეგად მოსული სისხლიანი სამხედრო საბჭოსადმი).

ჟურნალ „ივერიას“ გამოსცემდა ძირგამომთხრელი ორგანიზაცია „ქართულ-ევროპული ინსტიტუტი“, რომელიც პარიზში, საბჭოთა გლობალისტური წრეების მიერ დაარსდა და რომელსაც არაკაცი ჯანრი კაშია ხელმძღვანელობდა. ეს სამკაციანი „ინსტიტუტი“ მთლიანად ქართული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციით იყო დაკავებული.

ეს უცილობელი დამტკიცებაა იმისა, რომ სიგუა-კიტოვან-იოსელიანის ბანდას რუსეთი კი არ ამოძრავებდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, წარმართავდა დასავლეთი და დასავლეთში ჩანერგილი ისეთი არაკაცები, როგორებიცაა კაშია-ზურაბიშვილის წყვილი! სალომე ზურაბიშვილსა და ჯანრი კაშიას იმ პერიოდის საქმიანობა სწორედ ისაა, რაც დეკლარაციაში წოდებულია „შინაგანი და გარეგანი ანტიეროვნული ძალების მიერ მოწყობილ სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებად“. ისინი იყვნენ ამ გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორები, სულისჩამდგმელები და იდეოლოგები.

კიდევ ერთი, დოკუმენტური დასაბუთება იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური ხელმძღვანელი და მეთაური ჯანრი კაშია იყო და ასეთადაც რჩება:

„– თქვენ განაცხადეთ, რომ ქართველ ხალხთან ერთად აპირებთ მუშაობას საქართველოს საკეთილდღეოდ. როგორი ორგანიზაციული ფორმა ექნება ამ ერთობას.

– ეს რთული საკითხია. ახლა ჯანრიც ჩამოვიდა და ერთად დავიწყებთ ჯერ კონსულტაციებით, რომ ვნახოთ, ვინ არის ის ხალხი, რომელსაც ერთნაირად ესმის დღევანდელი სიტუაცია და ვისაც სურს, ვიმუშაოთ. ჯერ ვიმუშავებთ საზოგადოებრივ დონეზე. პოლიტიკური პარტიის შექმნა ჯერ არ არის აუცილებელი. მე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებსაც შევხვდები, მაგრამ, უბრალოდ, როგორც ადამიანებს. მე მექნება შეხვედრები არასამთავრობოებთან, აკადემიაში, უნივერსიტეტში, პრესის წარმომადგენლებთან. საზოგადოების ამოქმედება უფრო საჭიროა დღეს, ვიდრე ორგანიზაციების შექმნა. ხვალ შეიძლება ეს ეტაპიც მოვიდეს. მოძრაობაზეც რომ ვილაპარაკოთ, ამასაც უნდა რაღაც სტრუქტურა, ამას ფინანსებიც სჭირდება. დღეს ჩვენ არაფერი გვაქვს და უფინანსებოდ არავითარი მოძრაობა არ არსებობს. ვისაც სურს ჩვენთან ყოფნა, ყველასთვის კარი ღიაა“. („რეზონანსი“, #285, ორშაბათი, 24 ოქტომბერი, 2005 წელი).

დასასრული მე-6 გვერდზე

„ძიალოგი“ ეშმაკთან – რა გზა განვლო სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე

მე-5 გვერდიდან

დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებთ: ყოველგვარი დაფინანსების გარეშე და სასტიკი დევნა-შევიწროების პირობებში, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ნამდვილად ეროვნულმა და ნამდვილად სახალხო მოძრაობამ დაამარცხა უმძლავრესი კომუნისტური ურჩხული.

დასკვნა: თუ რამე მოძრაობას ძლიერი შინაგანი მოტივაცია გააჩნია – მას დაფინანსება არ სჭირდება, ხოლო ფსევდომოძრაობები კი შინაგანი მოტივაციის უქონლობას, ფინანსური მოტივაციით ანაცვლებენ!“

სხვათა შორის, ამავე საიტიდან ირკვევა, რომ ჟურნალ „ივერიაში“ სალომე ზურაბიშვილი ფსევდონიმით წერდა და მისი ფსევდონიმი „სალომე ქართველი“ გახლდათ. ჟურნალს კი, თურმე, მისი ან განსვენებულუ მეუღლე, ჯანრი კაშია რედაქტორობდა...

საქართველოს „გავარდებიდან“ ზუსტად ორი წელია გასული. მართალია, ორი წელი ისტორიისთვის არაფერია, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართველ „ვარდოსნებს“ ქვეყანაში თავიანთი წესები დაემყარებინათ ანუ 2005 წლის შემოდგომისთვის უკვე წართმეულია კერძო ქონება და... გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილია პრემიერი ზურაბ ჟვანია... 2005 წლის 19 ოქტომბერს, იმჟამინდელი პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან ითხოვს.

„ვარდოსნები“ სალომე ზურაბიშვილს, ალბათ, უწყინარ ევროპელად თვლიდნენ, მაგრამ „მიშას ბანაკი“ პირველად სწორედ მან შეაზანზარა – 20 ოქტომბერს, თბილისში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ყველაზე მასშტაბური აქცია გამართა და იპოდრომზე შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, დამოუკიდებელ პოლიტიკურ კარიერას ვიწყებო.

„საქართველოში ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიან!“ – მიმართა მაშინ ზურაბიშვილმა ხალხს... ერთი წლის შემდეგ კი, ოპოზიციური პარტია „საქართველოს გზა“ ჩამოაყალიბა.

რაც შეეხება „ეშმაკთან ძიალოგს“, ეს ფრთიანი ფრაზა ზურაბიშვილმა 2009 წელს, ე.წ. საკნების აქციების დროს წამოისროლა:

„დღეს ეშმაკის ენა არის ძიალოგი. გვისისინებს ეშმაკი, ძიალოგიო, ძიალოგიოოოო, წამოდიო, ძიალოგ ზეო... წადი ეშმაკო, წადი! ფუი, ეშმაკო!“

ქართული პოლიტიკიდან არც ქაჯები წასულან და არც – ეშმაკები. შესაბამისად, ზურაბიშვილის „სხარტულებს“ აქტუალობა არ დაუკარგავს. მეტიც, მის ძველ „სიბრძნეებს“ ახლებიც დაემატა – „ანალისტები“, „განძრევა“ და ასე შემდეგ...

სიტყვამ მოიტანა და, მიხეილ სააკაშვილი დღეს, ალბათ, ნანობს, რომ თავის დროზე, არც ტვინი „განძრია“ და არც „ანალისტებს“ ჰკითხა, სხვა ქვეყნის მოქალაქისა და ელჩის, ზურაბიშვილის საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელად დანიშვნა კარგი გადაწყვეტილება იყო თუ არაო. არადა, ამ კითხვას ქართული მედია მაშინ ხშირად სვამდა. ..

ასე იყო თუ ისე, სალომე ზურაბიშვილი საგარეო მინისტრი გახდა და „ვარდების“ მთავრობაში ინტრიგებიც დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, ითქვა, რომ მინისტრად დანიშვნის დღიდან, ზურაბიშვილმა პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე აითვალწუნა. პერიოდულად ჩნდებოდა ცნობა, რომ ზურაბიშვილი-ბურჯანაძე ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდნენ, თუმცა თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ქალბატონმა ზურაბიშვილმა ბურჯანაძესთან დაპირისპირება უარყო და განაცხადა, მე და ნინო დები ვართო.

სამაგიეროდ, უპორტფელოდ დარჩენილმა ზურაბიშვილმა ინტერვიუში, რომელიც ერთ-ერთ ქართულ გამოცემას 2005 წლის პირველ დეკადაში მისცა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერი გაიხსენა და მიანიშნა, რომ მის წინაღმდეგ „შავ პიარს“, თითქოს, ცხონებული ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა:

„ჟვანიასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს წინააღმდეგ დაწყებული კრიტიკები ჟვანიამდე მიდიოდა. სხვათა შორის, მისგან ისიც ვიცოდი, რომ პრეზიდენტს ჩემი გაშვება მოსთხოვა, ამ გუნდში არ ჯდებაო. ისე, ბოლომდე ვერ გავარკვიე, ხელს რაში ვუშლიდი... მოკლედ, იანვრის შუა რიცხვებში, ერთმანეთს შევხვდით, საკმაოდ ღია საუბარი გვქონდა, შევთანხმდით, რომ დაძაბულობა უკან დაგვეტოვებინა და ერთად მუშაობა დაგვეწყო.

– „ერთად მუშაობის დაწყება“ რას ნიშნავდა?

– იმ მომენტში დავიჯერე, რომ საქართველოსთვის ევროინტეგრაცია და ნატო-ში გაერთიანება მართლა პრიორიტეტები იყო, საამისოდ კი სამოქმედო გეგმის მომზადება იყო საჭირო. სხვათა შორის, ამის მერე შევამჩნიე, რომ როცა საშუალება ჰქონდა, ზურა ჟვანია ყოველთვის ამბობდა, ნახეთ, საგარეო საქმეთა მინისტრი რა კარგად მუშაობსო. მოკლედ, რა სიტყვაც მომცა, შეასრულა.

ამის შემდეგ გავიდა ორი კვირა თუ ორკვირანახევარი და მისი

გარდაცვალება რომ გავიგე, ძალიან დიდი სინანულის გრძნობა გამიჩნდა, რადგან ის საქმე, რაზეც შევთანმხდით, ბოლომდე ვერ მივიყვანეთ და ჩვენგან, შეიძლება, კარგი ტანდემიც გამოსულიყო. ახლა, თუ ისევ გარედან შეფასებაზე გადავალთ, ფაქტია, ჟვანიას გარდაცვალების მერე რაღაც ბალანსი დაირღვა, რომელიც პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არსებობდა. ორივეს თავისი როლი ჰქონდა და ეს ბალანსი მერე ვერ შენარჩუნდა, რადგან ნოღაიდელი რამის დამაბალანსებელი კი არა, უფრო შემსრულებელია. ბალანსი აუცილებელია, მაგრამ დღეს ეს არ არსებობს ანუ პრეზიდენტი და პარლამენტი ერთად არიან, პრემიერი კი არ ითვლება.

– თქვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვიღაცებს თქვენი და ჟვანიას ტანდემის შეეშინდათ. ყოველ შემთხვევაში, თქვენი გადაყენება ზემოხსენებულ ლოგიკაში რაღაცნაირად ჯდება...

– არ ვიცი... ეს თქვენი დასკვნებია... ისე, ასეთი პარალელები ყოველთვის მაცდურია, რადგან ნამეტანი ლოგიკური და ბევრის მთქმელია. მოკლედ, პარალელებს ვერიდები“...

სალომე ზურაბიშილს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, თავის დროზე, გარკვეულ ნეპოტიზმშიც ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ საგარეო უწყებაში, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე შვილებისა და ოჯახის ახლობლები დანიშნა. ამ მხრივ კი ყველაზე მეტად პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აქტიურობდა, რომელიც აცხადებდა:

„ზურაბიშვილის მინისტრად მოსვლის პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტროში 25 ძალიან ნიჭიერი ახალგა ზდრა მუშაობდა, რომელთაც ზურაბიშვილი სულ რამდენიმე დღეში დაერია და ქუჩაში გაყარა, მათ ნაცვლად კი საეჭვო პროფესიის მქონე ადამიანებით დააკომპლექტა სამინისტრო. ამის შემდეგ, ზურაბიშვილი საელჩოებს დაერია. მან ყოველგვარი დიპლომატიური ტაქტის გარეშე გამოაძევა ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც ზურაბიშვილზე ცოდნით ათჯერ მაღლა იდგა და, საერთოდაც, ნომერ პირველი დიპლომატი იყო“.

ერთი სიტყვით, სალომე ზურაბიშვილის მხოლოდ პოლიტიკური კი არა, პირადი ბიოგრაფიაც ერთობ მრავალფეროვანი და, გარკვეუნილად, იდუმალიცაა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე გაუგებარია, რატომ გაუჩნდა განვითარებული საფრანგეთის მოქალაქეს სურვილი, რომ განვითარებად საქართველოში პოლიტიკური თანამდებობა მიეღო? იყო თუ არა ეს დიდი პოლიტიკური თამაშის შემადგენელი ნაწილი? – ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ, რიგითი მოკვდავნი, ალბათ, ვერასოდეს მივიღებთ. თავად ზურაბიშვილი კი ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აცხადებდა:

„პოლიტიკაში მოსვლა არასდროს მდომებია... სააკაშვილმა რომ შემომთავაზა, ბევრი ვიუარე და ვეხვეწე, თანახმა ვარ დახმარებაზე, მაგრამ სჯობს, მინისტრის ან პრეზიდენტის დიპლომატიური მრჩევლის ადგილზე დამნიშნოთ-მეთქი. იპოდრომის მერეც, რომელიც თავისით მოეწყო, არ ვაპირებდი პოლიტიკაში გადასვლას და შევქმენი საზოგადოებრივი მოძრაობა. პარტიად გარდავიქმენით მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა სხვანაირად არ შეიძლებოდა.

...მე და ჩემი მეუღლე რომ დავშორდით, დიპლომატიური მისიით აფრიკაში, ჩადში წავედი. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. მე და ჩემი შვილები იქ სამი წელი ვცხოვრობდით. მაშინ იქ ომიც იყო. ქუჩები, ფაქტობრივად, არ არსებობდა, ქვიშა იყო ყველგან.

იქიდან რომ დავბრუნდი, მერე გავყევი ჯანრის. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში უდიდესი სიყვარული. დიდი ტკივილის მიუხედავად, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ადამიანის გვერდით ვცხოვრობდი. ის მხოლოდ მეუღლე კი არა, ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო... საერთო შვილი არ გვყავს, მაგრამ მის შვილებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, სულ ვამბობდით, რომ გაფართოებული ოჯახი გვქონდა... მის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. წიგნში – „საქართველოს ტრაგედია 2003-2008“, რომელიც დავწერე, ყველაფერზეა ლაპარაკი, რაც 2003-დან 2008 წლამდე ხდებოდა. აქედან რუსეთი რას გამოიყენებს და რას – არა, არ ვიცი. ტალიავინის ანგარიშიც სათავისოდ გამოიყენეს რუსებმა და სააკაშვილმა. მიშამ თქვა, მე გამამართლესო, რუსებმა კი, ეს დასკვნა ჩვენთვის სასარგებლოაო. ასე რომ, იმის მიხედვით, ვინ როგორ წაიკითხავს, ნებისმიერი ტექსტის გამოყენება შეიძლება. ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ, რაც იმ წიგნში აღვწერე, სრული სიმართლეა. ეს არის ის, რაც გავიარე, ვიფიქრე და ვნახე ხელისუფლებაში ყოფნისას. არგუმენტი, სიმართლის თქმა არ შეიძლება, რადგან შეიძლება მტერმა გამოიყენოსო, ჩემთვის მიუღებელია. სიმართლე იმისთვის გვჭირდება, რომ შეცდომები გავითვალისწინოთ და მომავალში აღარ გავიმეოროთ.

– მაგრამ ხელისუფლება აცხადებს, რომ თქვენს წიგნში მოხვდა საიდუმლო ინფორმაციაც.

– არ ვიცი, რას მედავებიან. წიგნში ვწერ 2004 წელზე, როდესაც ცხინვალზე პირველი შეტევა იყო. ესეც რუსების პროვოცირებული იყო და მაშინაც გაიყო მთავრობაში აზრი. ნაწილს მიაჩნდა, რომ შეიძლებოდა ცხინვალის პრობლემის სწრაფი ოპერაციით გადაჭრა, მეორე ნაწილს (რომელშიც მეც ვიყავი) კი მიაჩნდა, რომ ეს სახიფათოა. ვამბობდით, რომ შესაძლოა, ლოკალურად რაღაც მოვიგოთ, მაგრამ საერთაშორისო მხარდაჭერას დავკარგავთ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჩემი თანდასწრებით არც მიღებულა, რადგან ასეთი საკითხების გადაწყვეტა უშიშროების საბჭოზე კი არა, სხვა დონეზე ხდებოდა.

– სად და ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს?

– არავინ იცის. ჩვენ ხომ რეალურად არ გაგვაჩნია უშიშროების საბჭო. დღესაც საბჭოს სხდომაზე პატიჟებენ ოპოზიციონერებს, რომლებიც გუშინ, ჩემსავით, რუსეთის აგენტებად იყვნენ მონათლულნი. მათ სხდომაზე იწვევენ, მაგრამ საჭიროდ არ მიაჩნიათ, ან ბოდიში მოუხადონ, ან საქმეები შეწყვიტონ მათზე. რა უშიშროების საბჭოა ის, რომელიც კამერების წინ ტარდება?

დღეს სიმართლე ოპოზიციასაც სჭირდება. ოპოზიციამ თუ არ დაინახა, სად რა შეგვეშალა, რა საფრთხე გვემუქრება და შელამაზებული სურათით ვიმსჯელეთ, რომელიც რეალობასთან ახლოსაც არ არის, ვერაფერს მივაღწევთ. ასევეა ქვეყანაც. გვინდა, საქართველო გამოვიდეს უმძიმესი კრიზისიდან? გვინდა, რომ სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის აღდგენის შანსი გაჩნდეს? გგონიათ, ეს სიმართლის გარეშე მოხდება? თუ ოსებსა და აფხაზებს ვეტყვით, ყველაფერში მართლები ვიყავითო, გგონიათ, მოხერხდება ჩვენი ურთიერთობა?

– მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრა სეპარატისტ ლიდერებთან ღამის დანაშაულად და ქვეყნის ღალატად ცხადდება.

– თავი დაანებონ მოღალატეებსა და უცხოეთის აგენტებზე ლაპარაკს. დემოკრატიულ ქვეყნებში აგენტებზე არავინ ლაპარაკობს. ეს ტოტალიტარული რეჟიმების ხელწერაა. სააკაშვილს ვურჩევდი, თავი დაანებოს ამ თემებზე ლაპარაკს, რომელიც ბრალმდებელზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ადრესატზე. რუსული ბაზები ჩემი მინისტრობის დროს გავიდა საქართველოდან და სააკაშვილმა ისევ დააბრუნა. აქედან გამომდინარე, ვინ არის ჩვენ შორის რუსეთის აგენტი?“

კიდევ ერთი, საინტერესო დეტალი: სალომე ზურაბიშვილს გაპრეზიდენტების სურვილი 2013 წელსაც ჰქონდა. როგორც მაშინდელი მედია იუწყებოდა, ის „ქართული ოცნების“ ლიდერებს კონსპირაციულად შეხვდა და შესთავაზა, ჩემზე კარგ კანდიდატს ვერ იპოვით და პრეზიდენტად „დამნიშნეთო“, მაგრამ სალომეს ოცნება მაშინ არ ახდა. როგორც იტყვიან, ბოლო სერიაში, ზურაბიშვილი პრეზიდენტი მაინც გახდა. მთავარსარდლობის პირველ ეტაპზე, მმართველი გუნდი მას კბილებით იცავდა, ოპოზიცია კი რეზიდენტსა და რუსების კადრს ეძახდა. ახლა ვითარება შეიცვალა – ოპოზიციის ნაწილი პრეზიდენტს დაუტკბა, მმართველი გუნდი კი გაებუტასავით. ხელისუფლების მიმდევრებმა პრეზიდენტი კიდევ ერთხელ, მწვავედ, ორი დღის წინ იმის გამო გააკრიტიკეს, რომ ოპერის თეატრში სხვადასხვა სოციალური ფენისა და პოლიტიკური გემოვნების ქალბატონებს შეხვდა. ისე, უცნაურია, რომ ამ შეკრებაზე გაზეთ „ვერსიის“ მთავარი რედაქტორი, მაია ფურცელაძე არ მიიწვიეს და ეს მაშინ, როცა ოპერაში, როგორც იტყვიან, გუშინდელი ჟურნალისტები მრავლად იყვნენ...

რა ქონებას ფლობს თეა წულუკიანი

მაკა რუხაძე

220 480 ევროდ გაყიდული ბინა სტრასბურგში და მიწის ნაკვეთები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

გამორჩეულად აქტიური, ხისტი, მკაცრი, შეუვალი – ასეთია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2020 წლის 29 სექტემბრამდე, თეა წულუკიანი იუსტიციის მინისტრი იყო. ყველაზე ხშირად სწორედ მას აკრიტიკებენ, თავის მხრივ, არც წულუკიანი ერიდება კამათს ოპონენტებთან. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ პოლიტიკური ჭორების სამიზნეც სწორედ თეა წულუკიანია – დაახლოებით, ერთი თვის წინ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი წულუკიანის ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნას აპირებდა, მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ ეს მხოლოდ ჭორი იყო... როგორც მიხვდით, „ვერსია“ სწორედ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ქონებრივი დეკლარაციით დაინტერესდა. თუმცა, ვიდრე დეკლარაციას გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ თეა წულუკიანს ჰყავს მეუღლე – ნუგზარ (ნუგო) კაკულია და ერთი ქალიშვილი – მერი, რომელიც 2017 წელს დაიბადა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს, 2023 წლის 31 იანვარს შეავსო. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მინისტრის საკუთრებაშია რამდენიმე მიწის ნაკვეთი, კერძოდ: მიწის ნაკვეთი დიღომში, რომელიც 2005 წელს, ჩუქებით გადაეცა; 2013 წელს, დამატებით შეიძინა 1 000 კვ.მ., რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები და ავტოფარეხი; ასევე, წულუკიანს ჩუქებით გადაეცა 6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მესტიაში, 2017 წელს.

თეა წულუკიანის მეუღლის, ნუგზარ კაკულია ფლობს 50 009 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ახალქალაქში, რომელიც 2016 წელს, 7 000 ლარად შეუძენია; ბინას თბილისში, რომელიც 2021 წელს, ჩუქებით გადაეცა და მსუბუქ ავტომანქანა Cayenne-ს, რომელშიც შარშან 12 000 აშშ დოლარად შეუძენია.

ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ თეა წულუკიანის შვილის სახელზეა გაფორმებული 1 182 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სამტრედიაში, რომელიც ჩუქებით გადაეცა.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციის შევსების მომენტში, თეა წულუკიანს საქართველოს ბანკში – 637.99 ლარი, ხოლო საბავშვო ანაბარზე – 15 956 ლარი ერიცხებოდა. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პოსტზე, 2022 წელს, ხელფასის სახით, თეა წულუკიანმა 66 000 ლარი მიიღო.

თვალი გადავავლოთ 2022 წელს შევსებულ დეკლარაციასაც, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ 2021 წლის მარტში, ნუგზარ კაკულიას ჩუქებით გადაეცა 3 607 კვ.მ. ბინა თბილისში, დოლიძის ქუჩაზე. გარდა ამისა, ფლობს 50 009 კვ.მ. მიწის ნაკვეთს ახალქალაქის რაიონში, სოფელ დილისკაში, რომელშიც 2016 წელს, 7 000 ლარი გადაუხდია.

2020 წელს, სამტრედიის რაიონში, სოფელ ტოლებში, 1 182 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წულუკიანის პატარა გოგონასთვის უჩუქებიათ.

2005 წელს, სოფელ დიღომში, თეა წულუკიანს საჩუქრად მიუღია 1 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მის სახელზეა რეგისტრირებული 2017 წელს ნაჩუქარი 6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მესტიაში, სოფელ ზემო ლუჰაში.

2020 წელს, ნუგზარ კაკულიამ მსუბუქი ავტომანქანა BMW Sedan 535 L შეიძინა, რომელშიც 10 000 აშშ დოლარი გადაიხადა.

დეკლარაციის შევსების დროს, თეა წულუკიანს საქართველოს ბანკის ანგარიშზე ჰქონდა 3 305 ლარი, საბავშვო ანაბარზე კი – 12 348 ლარი.

ნუგზარ კაკულიას საქართველოს ბანკის საბარათე ანგარიშზე ჰქონდა 2 497 ლარი. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა-პროგრამების განვითარების დარგში, კონსულტანტის პოზიციაზე, ერთი წლის განმავლობაში, ნუგზარ კაკულიას ხელფასის სახით 35 167 ლარი მიუღია.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პოსტზე, 2021 წლის 22 მარტიდან 31 დეკემბრამდე, ხელფასის სახით, თეა წულუკიანმა 46 904 ლარი მიიღო. საქართველოს პარლამენტის აპარატში, პარლამენტის წევრობისა და კომიტეტის თავჯდომარის პოსტზე ყოფნის დროს, 2021 წლის იანვრიდან მარტამდე პერიოდში, წულუკიანს 11 607 ლარი მიუღია.

მინისტრს სამომხმარებლო სესხიც ჰქონია, 62 400 აშშ დოლარის ოდენობით. თეა წულუკიანს რამდენიმე სესხი გაუერთიანებია და 2020 წელს, საქართველოს ბანკიდან 56 140 ლარი მიუღია, რომლის გადახდის ბოლო ვადაა 2030 წელი.

2022 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ თეა წულუკიანს სტრასბურგის ბინა გაუყიდია, ბინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი – 220 480 ევრო, ანაბრის სახით შეუტანია ბანკში.

სამომხმარებლო სესხი – 34 000 ლარის ოდენობით, ნუგზარ კაკულიასაც ჰქონია, რომლის გადახდის ბოლო ვადა 2031 წელია. გარდა ამისა, მინისტრის მეუღლეს მშობლებისგან, საჩუქრის სახით, ბინა მიუღია, რომლის საბაზრო ღირებულება 30 000 აშშ დოლარია.

დეკლარაციიდან იმასაც ვიგებთ, რომ წულუკიანს, ნათესავის მიერ, მის სასარგებლოდ აღებული სესხის გადაფარვაში 8 261 აშშ დოლარი გადაუხდია.

რაც შეეხება სწავლის გადასახადს, 2022 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, ამ მიზნით, თეა წულუკიანს 11 724 ლარი დაუხარჯავს.

რატომ გახდა „ბილაინი“ „სელფი“ და რატომ იყიდა კომპანიის აქციები ხვიჩა მაქაცარიამ

მაკა რუხაძე

სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სიახლეა. უფრო ზუსტად, კომპანია „ბილაინმა“ სახელი შეიცვალა და 5 აპრილიდან, საკუთარ აბონენტებს „სელფის“ სახელით ემსახურება. საკმარისია beeline.ge-ზე შეხვიდეთ და ახალ ვებგვერდზე – cellfie.ge ავტომატურად გადამისამართდებით. „ვერსია“ დაინტერესდა, რას ნიშნავს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე განხორციელებული ეს ცვლილება, ან რატომ გადაირქვა „ბილაინმა“ სახელი, თუმცა ვიდრე დეტალურ ინფორმაციას გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სატელეკომუნიკაციო კომპანია „ბილაინს“, რომელსაც ახლა „სელფი“ ჰქვია, შპს „ვიონი საქართველო“ ფლობს. „ვიონი საქართველოს მესაკუთრეები კი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიები არიან.

ახალი ბრენდი „სელფი“

„ბილაინის“ ვებგვერდიდან „სელფზე“ ავტომატურ რეჟიმში გადასვლისთანავე ვიგებთ, რომ ესაა ახალი ქართული ბრენდი, რომელიც აერთიანებს „ადგილობრივ ტელეკომინდუსტრიაში მოღვაწეობის მრავალწლიან გამოცდილებას, მნიშვნელოვან საერთაშორისო პრაქტიკასა და ციფრული ტანსფორმაციის წარმატებულ ისტორიას“. მნიშვნელოვანია, რომ „სელფის“ მთავარი იდეა აბონენტის გვერდში ყოფნაა მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე და ნებისმიერ ვითარებაში:

„ბრენდის მუდმივი სწრაფვა ინოვაციისკენ, განაპირობებს ახალი შესაძლებლობების მიცემას, პროფესიული და პერსონალური მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის. „სელფის“ შექმნა განაპირობა კომპანიის მიერ ციფრული ეკოსისტემის განვითარებამ და უნარმა, რომ 1.3 მილიონ მომხმარებელს მისცეს შესაძლებლობა, სრულად ისარგებლონ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებით. „სელფის“ მეშვეობით მომხმარებლები კიდევ უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ ტექნოლოგიური განვითარებისგან, თანაც ისე, რომ ეს მათთვის მარტივი, სასიამოვნო და დროის დამზოგველი აღმოჩნდეს“.

„სელფი მობაილის“ გენერალური დირექტორის, ვასილ ბერიშვილის განცხადებით, „სელფი“ ერგება თითოეულ მის მომხმარებელს და შესაძლებლობას აძლევს, რომ სრულად გამოხატოს საკუთარი თავი:

„მოხარული ვარ, მომხმარებელს წარვუდგინო ჩვენი ახალი ბრენდი – „სელფი“, რომლითაც დღეიდან ვიწყებთ ოპერირებას. ბრენდის გაჩენა განაპირობა კომპანიის სურვილმა, მიგვეცა მომხმარებლისთვის წვდომა ყველა იმ ტექნოლოგიურ გადაწყვეტაზე, რომელიც ადამიანების ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს და უმარტივებს ყოველდღიურობას. შეიძლება ითქვას, რომ „სელფის“ მეშვეობით, მომხმარებელი საკუთარი სმარტფონის ყველა ფუნქციას სრულად იყენებს, რადგან „სელფი“ აბონენტს ერთდროულად სთავაზობს ყველაფერს, რაც მას სჭირდება: კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლის, სწავლისა და პიროვნული განვითარების, მოგზაურობის, გართობისა თუ მუშაობისთვის საჭირო გადაწყვეტებს“.

ვასილ ბერიშვილის განცხადებით, ინოვაციასა და მუდმივ განვითარებაზე ორიენტაციასთან ერთად, უცვლელია კომპანიის მთავარი ღირებულება – ყოველთვის მისცეს საკუთარ მომხმარებელს საუკეთესო შეთავაზება და მასზე მორგებული მომსახურება.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიშის მიხედვით, მობილური ოპერატორების წილი ასეა გადანაწილებული: „მაგთიკომი“ – 42%, „სილქნეტი“ – 33%, ხოლო „ვიონი საქართველო“ ანუ „ბილაინი“ – 25%.

უკავშირდება თუ არა რებრენდინგი რუსეთ-უკრაინის ომს

რუსეთ-უკრაინის ომი და სანქცირებული რუსი ოლიგარქი

მართალია, ოფიციალურად ეს ვერსია არ დასტურდება, მაგრამ ირიბად, „ბილაინის“ რებრენდინგი რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირდება. ირიბად იმიტომ, რომ ქართველმა ბიზნესმენმა, რომელმაც 2022 წლის მაისში, „ბილაინის“ 100%-იანი წილი შეიძინა, განაცხადა, რუსეთის უკრაინაში შეჭრა არაფერ შუაშია, ამ კომპანიის შეძენა ბევრად უფრო ადრე მქონდა გადაწყვეტილი და მოლაპარაკებებიც დიდი ხნის წინ დაიწყოო. თუმცა, ასეა, თუ ისე, „ბილაინის“ მფლობელი ერთი წლის წინ, მაისში შეიცვალა, რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან ზუსტად სამ თვეში, თუ უფრო მეტად დავკონკრეტდებით, აშშ-სა და ევროპის ქვეყნების მიერ, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების კვლდაკვალ.

ზუსტად ერთი წლის წინ, მას შემდეგ, რაც აშშ-სა და ევროპის ქვეყნების მიერ სანქცირებულთა სიაში რუსი ოლიგარქი მიხაილ ფრიდმანი მოხვდა, რომელსაც კომპანია „ბილაინი“ უკავშირდებოდა, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მსხვილი გარიგება დასრულდა. კერძოდ, ხმა გავრცელდა, რომ „ბილაინის“ აქციების 100%-იანი წილი ქართველმა ბიზნესმენმა ხვიჩა მაქაცარიამ შეიძინა. რაც შეეხება კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, უწყებამ ამ გარიგებაში საეჭვო ვერაფერი შენიშნა და „ბილაინის“ ანუ „ვიონი საქართველოს“ გაყიდვის ნებართვა ოფიციალურად გასცა.

საქართველოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, „ვიონი საქართველოს“ ორი მფლობელი კომპანია ჰყავს: Watertrail Industries – 71% და Investico Alliance – 29%; ორივე ეს კომპანია ანუ Watertrail Industries და Investico Alliance ოფშორულ ზონაში, უფრო ზუსტად, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზეა დარეგისტრირებული. ხვიჩა მაქაცარიამ ორივე ამ კომპანიის 100%-100%-იანი წილების შეძენა გადაწყვიტა.

თუ კიდევ უფრო მეტად ჩავუღრმავდებით, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიებს – Watertrail Industries-სა და Investico Alliance-სს „ვიონ ჯორჯია ჰოლდინგს B.V“ ფლობს, რომელიც კორპორაცია Veon-ის ნაწილია. თავის მხრივ, Veon-ი ნიდერლანდებში დაფუძნებული კორპორაციაა. მნიშვნელოვანია, რომ „ვიონი ჯგუფის“ აქციათა 43.8% საფონდო ბირჟაზე, თავისუფალ ვაჭრობაშია, 47.9%-ს ფლობს სანქცირებული ოლიგარქის, მიხაილ ფრიდმანის კუთვნილი კომპანია Letter One.

2022 წლის 5 მაისს, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ჩათვალა, რომ:

„ხვიჩა მაქაცარიას მიერ, აღნიშნული კომპანიების წილების შეძენა საქართველოს ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე გავლენას არ მოახდენს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ტრანზაქცია თავსებადია ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან“.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენი ხვიჩა მაქაცარია ფლობს რესტორნებს, სასტუმროებს, სამშენებლო და „რითეილ“ (სავაჭრო) კომპანიებს, ან საკმაოდ სოლიდურ წილებს ამ ბაზრებზე არსებულ კომპანიებში. კერძოდ, ხვიჩა მაქაცარია ფლობს წილებს „თელასში“, „თბილისი მოლსა“ და საქართველოს ლატარიის ეროვნულ კომპანიაში. გარდა ამისა, მაქცარია CBS ჯგუფის დამფუძნებელია.

ტრანზაქციის დეტალები

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, „ბილაინის“ 100%-იანი წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით, 2022 წლის აპრილში მიმართა. თავის მხრივ, „კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ „ვიონი საქართველოს“ მფლობელ კომპანია „ვიონ ჯორჯია ჰოლდინგ B.V“-ის კუთვნილ Watertrail Industries-სა და Investico Alliance-ის 100%-100%-იანი წილების გასხვისების თანხმობა გასცა:

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომუნიკაციების კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენაც ხდება.

კანონმდებლობის შესაბამისად, კომუნიკაციების კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე/შეძენაზე, ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით, მიიღოს გადაწყვეტილება ტრანზაქციის გამოკვლევის თაობაზე და საქმის წარმოება დაიწყოს.

საკითხის შესწავლის საფუძველზე, კომუნიკაციების კომისიამ მიიჩნია, რომ ხვიჩა მაქაცარიას მიერ აღნიშნული კომპანიების წილების შეძენა ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე გავლენას არ მოახდენს და აღნიშნული ტრანზაქცია თავსებადია ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ წილების გასხვისებაზე წინასწარი თანხმობის გაცემის გადაწყვეტილება მიიღო“, – აღნიშნულია კომუნიკაციების კომისიის განცხადებაში.

რატომ შეიძინა ხვიჩა მაქაცარიამ „ბილაინის“ 100%-იანი აქტივი? – ამ კითხვას „ბი ემ ჯი TV“-ის ეთერში, თავად CBS ჯგუფის დამფუძნებელმა უპასუხა და აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში, სატელეკომუნიკაციო ბიზნესის საქართველოში განვითარება სურდა:

„დიდი ხნის განმავლობაში, ამ კომპანიაში („ბილაინი“) მინორიტარულ წილს ვფლობდი. მართალია, კომპანიის განვითარების შესახებ ჩემი ხედვები მქონდა, მაგრამ ამ კომპანიაზე არანაირი გავლენა არ მქონდა, რადგან მინორიტარი ვიყავი. მე ჩემი ხედვა მქონდა, მათ – თავისი. მათთვის ეს ექსპერიმენტული რაღაც იყო, ჩემთვის კი ბიზნესი იყო საქართველოში და სულ სხვა ხედვა მქონდა. ბოლოს და ბოლოს, დავარწმუნეთ, რომ ეს კომპანია ჩვენ უნდა გვეყიდა“.

რატომ გადაერქვა „ბილაინს“ სახელი? ხვიჩა მაქაცარიას განცხადებით, კომპანიის რებრენდინგი ჯერ კიდევ შარშან დაიგეგმა. მისი თქმით, 2023 წელს, „ბილაინთან“ დაკავშირებით, საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვთ: პირველი და უმთავრესი მიზანი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა, მეორე – ქსელის გაფართოება და მესამე – რებრენდინგი. მაქაცარიასვე თქმით, CBS ჯგუფი ამ გეგმებს „თიბისი ბანკთან“ პარტნიორობით შეასრულებს.

სამართალი

№13 12 აპრილი 2023 წ

„დამხვრიტეთ!“

რა აღიარებითი ჩვენება მისცა გამოძიებას ბავშვთა სახლის დირექტორმა, რომელმაც ცხრა არასრულწლოვანი გაყიდა

ბათო ჯაფარიძე

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, რომ დანაშაულში ბრალდებულის მიმართ საზოგადოებას სიბრალულის გრძნობა აქვს. არ ვსაუბრობ „სტოკჰოლმის“ სინდრომზე, უფრო სხვა მხარეს მსურს შევეხო – როცა ადამიანი დანაშაულს სჩადის და საკუთარ თავს უტყდებით, რომ მის ადგილზე, ეგებ, მეც ასე მოვქცეულიყავიო. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, საქართველოში, 70-იანი წლების მიწურულს მოხდა და მაშინ გარკვეულ წრეებში უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა იმის მიუხედავად, რომ არა მარტო იმ სფეროს წარმომადგენელთა აზრი გაიყო, სადაც ბრალდებული მოღვაწეობდა, არამედ, თავად სამართალდამცავებსაც ვერ გადაეწყვიტათ, ჰქონდათ თუ არა საქმე დამნაშავესთან, საბჭოთა სამართალმა სხვაგვარად განსაჯა.

„საბჭოთა კავშირის დროს ბევრი რამ იყო კარგი და მათი გადმოღება რომ შეიძლებოდეს, სიამოვნებით გადმოვიღებდი. მაგალითად, წელიწადში ორჯერ, ჩვენი სამმართველო უპატრონო ბავშვთა სახლს სტუმრობდა, საჩუქრები მიგვქონდა პატარებთან, ვეთამაშებოდით, ნუგეშს ვაძლევდით, თანაც ეს ბავშვები ფორმიან ადამიანებს რომ ხედავდნენ, უხაროდათ, ყველა იმაზე ოცნებობდა, რომ მომავალში მილიციის თანამშრომელი გამხდარიყო. არადა, ძნელია, როცა უპატრონო ბავშვთა სახლში იზრდები, ცხოვრების სწორ გზაზე დადგე. ახლა ასე იშვიათად ხდება, კი დადიან ხოლმე, მაგრამ ეს კამერების თანხლებით ხდება, მაშინ კი ამას უხმაუროდ ვაკეთებდით, რადგან ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნდა. ამისთვის ფულიც იყო სამინისტროდან გამოყოფილი და ჩვენც ვაგროვებდით რაღაც თანხას, საბოლოო ჯამში კი, კარგი ნობათი გამოგვდიოდა“, – მიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, სამართალდამცავებთან 7-8 წლის გოგონა მივიდა და ჩუმად უთხრა – „ჩემი ძმა მოიპარეს“. ძალოვნები თავიდან ვერ მიხვდნენ, რა უნდოდა ბავშვს, თუმცა, როგორც კი გოგონამ დირექტორი დაინახა, მაშინვე თავი დახარა და გვერდით გადგა. ეს მილიციის თანამშრომლების მახვილ თვალს არ გამოპარვია. ისინი ბავშვებთან ერთად გაერთნენ, ვითომ არაფერი მომხდარა, შემდეგ კი, ერთ-ერთმა მათგანმა, თამაშ-თამაშით, გოგონა გვერდით გაიხმო და მშვიდად ჰკითხა – წეღან რას გვიყვებოდი, განაგრძეო.

„აქ, მე და ჩემი პატარა ძმა ერთად ვცხოვრობთ. ის ერთი თვის წინ გაქრა, მოიპარეს და მგონია, რომ დირექტორმა მოიპარა. ის იპარავს ხოლმე ბავშვებს და ახლა ჩემი ძმის ჯერი დადგა“, – ჩურჩულებდა გოგონა.

გამომძიებლებმა თავიდან ჩათვალეს, რომ ბავშვი რომელიღაც ოჯახმა იშვილა, მით უმეტეს ის 5 წლის იყო და ამიტომ, ვინმეს რომ მოეპარა, ბავშვთა სახლის ადმინისტრაცია აუცილებლად გააცხადებდა. ასეთი განცხადება კი არ შესულა, მაგრამ მაინც გადაწყდა, რომ დირექტორს ცალკე გასაუბრებოდნენ. მან ძალიან მშვიდად დაადასტურა, რომ ბავშვი დაიკარგა, მაგრამ არავის მოუპარავს, უბრალოდ, ბავშვთა სახლიდან გაიპარა, როგორც ადრე სხვებიც გაპარულან. ამის შესახებ მან ზემდგომებს აცნობა და არ ჰქონდა ვალდებულება, რომ მილიციაში განეცხადებინა, რადგან კრიმინალი არ მომხდარა. ქალმა ისიც ძალიან მშვიდად თქვა, ადრეც გაპარულან სხვები, მაგრამ მერე პოულობდნენ, ან თავისით ბრუნდებოდნენ და ამასაც, როცა მოშივდება, ან დაბრუნდება, ან თქვენივე თანამშრომლები იპოვნიანო. პასუხმა ძალოვნები არ დააკმაყოფილა და მეორე დღეს, ბავშვთა სახლში ოფიციალურ შემოწმებაზე მივიდნენ. გაირკვა, რომ ბოლო ოთხ წელიწადში, ეს მეცხრე შემთხვევა იყო, როცა ვიღაც გაიპარა და უკან აღარასოდეს დაბრუნებულა. რაც მთავარია, ბავშვთა სახლიდან გაპარული ბავშვების ასაკი 4-5 წელს არ აღემატებოდა. უფრო ზუსტად, 4-5 წელს იმ ბავშვების ასაკი არ აღემატებოდა, რომლებიც გაიპარნენ და უკან აღარ დაბრუნდნენ, თორემ სიაში 14-15 წლის გოგო-ბიჭებიც იყვნენ, რომლებიც იპარებოდნენ და შემდეგ მათ სამართალდამცავები პოულობდნენ, ან თავად ბრუნდებოდნენ.

არ ჰგავდა ყველაფერი ეს რიგით მოვლენას და თანამშრომლებმა იმდენი მოახერხეს, რომ ძიების დაწყების უფლება მოიპოვეს. ამას „მოხერხება“ საინტერესო მიზეზის გამო უნდოდა – რეალურად, არ იყო მომჩივანი, პატარა გოგონას ზეპირი განცხადება კი, ჩემი ძმა მოიპარესო, მყარ არგუმენტად ვერ გამოდგებოდა. ამის მიუხედავად, კონკრეტულ სამმართველოს აღნიშნულ ბავშვთა სახლზე შეფობა ჰქონდა აღებული და ამიტომ, ძიების დაწყების უფლებაც მისცეს.

„დირექტორი „მამალი ქალი“ იყო, ბევრს არაფერს იტყოდა, ამიტომ თანამშრომელთა დაკითხვა გადავწყვიტეთ, მაგრამ ისინი დირექტორის დანახვაზე მუნჯდებოდნენ, თითქოს, მისი ეშინოდათ. გარეთ მათი გამოყვანა ვერ ხერხდებოდა, ისინიც თითქოს ბავშვთა სახლში ცხოვრობდნენ, თუმცა ცვლაში მუშაობდნენ და სწორედ ორ ასეთ ქალბატონს პირდაპირ სახლთან დავხვდი. ერთმა მაშინვე მითხრა, სათქმელი არაფერი მაქვს, სხვა დროს არ შემაწუხოთო, მეორემაც იგივეს თქმა დააპირა, მაგრამ ქმარი ჰყავდა ნასამართლევი, ამიტომ მივანიშნე, მაშინ კითხვები შენს ქმართან მექნება-მეთქი და ალაპარაკდა“, – მიყვება ბატონი თენგიზი.

„მე არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ. პერიოდულად, ბავშვები მართლაც ქრებიან, მაგრამ გამორიცხულია, ამ ასაკის ბავშვები იპარებოდნენ. მგონია, ისინი, უბრალოდ, ვიღაცას მიჰყავს, მაგრამ სად მიჰყავს და რისთვის, წარმოდგენა არ მაქვს. ცნობისთვის, მთავარი გასასვლელის გასაღების სულ სამი ეგზემპლარია – ერთი სეიფშია, ყოველი შემთხვევისთვის, ერთი დირექტორს აქვს, ერთიც მის მოადგილეს, რომელიც სამსახურში ძალიან იშვიათად დადის და რეალურად, არაფერს წყვეტს“, – თქვა ქალმა.

დირექტორის მოადგილე გამომძიებელმა იმავე დღეს ინახულა და გაოცდა. არ იცოდა საერთოდ არაფერი, რაც ბავშვთა სახლში ხდებოდა, სახელებითაც კი არ იცნობდა ყველა თანამშრომელს, რაც მთავარია, წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ბავშვთა სახლიდან ოდესმე ვინმე გაიპარა და მით უმეტეს, დაიკარგა. როგორ მოხდა აღნიშნულ თანამდებობაზე? – დირექტორმა დანიშნა იმ პირობით, რომ ცხვირს არ ჩაჰყოფდა არაფერში და ისიც არ ჰყოფდა. მოადგილის შტატი აუცილებლად უნდა ყოფილიყო შევსებული, ასეთ უამბიციო და უდარდელ მოადგილეს, ალბათ, მაშინ ყველა სამსახური ინატრებდა. დარჩა ერთადერთი წყარო, რომელსაც წესით, ყველაფერი უნდა სცოდნოდა და იცოდა კიდეც – დირექტორი, რომელიც არაფრის თქმას აპირებდა.

საინტერესო ის იყო, რომ აღნიშნული სახლიდან შვილად აყვანის მსურველი ბევრი იყო, მიჰყავდათ კიდეც ბავშვები და პრეტენზია არავის ჰქონია, მაგრამ სად წაიყვანეს ის ცხრა ბავშვი, რომელთა კვალიც, უბრალოდ, გაქრა და რომ არა გოგონა, რომელმაც ძმა მოიკითხა, ალბათ, ვერასდროს ვერავინ გაიგებდა მათ არსებობასაც კი. პერსონალს, დირექტორის შიშით, პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. ძებნის პარალელურად, ძალოვნებმა აგენტურული ქსელი აამუშავეს და ერთ-ერთმა აგენტმა ინფორმაცია მოიტანა, მაგ სახლიდან არალეგალურად იყიდება ბავშვებიო. მან ოჯახიც დაასახელა, რომელმაც კონკრეტულად იმ სახლიდან იყიდა ბავშვი, მილიციის აგენტი კი... იმ ოჯახის დიასახლისის ძმა იყო. ოჯახი შეძლებული გახლდათ, შვილი არ უჩნდებოდა და როგორც გაარკვიეს, ნაშვილებ პატარას თან ჰყვებოდნენ, არაფერს აკლებდნენ და ძალიან, ძალიან ბედნიერები იყვნენ.

იმავე დღეს, სკოლას, სადაც ბავშვი სწავლობდა, ფოტოგრაფი ეწვია, ვითომ საბავშვო ალბომისთვის იღებდა სურათებს და ძიებისთვის საინტერესო ბავშვს ათამდე ფოტო გადაუღო, მერე კი ეს ფოტოები ბავშვთა სახლის იმ თანამშრომელს ანახეს, რომელმაც გამოძიებასთან თანამშრომლობაზე ნებით, თუ ქმრის ისევ დაკავების შიშით, უარი არ თქვა. ქალი ყურადღებით აკვირდებოდა ფოტოს და ბოლოს, დაბეჯითებით თქვა, ეს ბავშვი ძალიან ჰგავს იმას, რომელიც ჩვენი სახლიდან სამი წლის წინ გაქრა, მაშინ 5 წლის იყო, ერთ-ორ წელიწადში, ალბათ, ვერც ვიცნობდიო.

„სხვა გზა არ იყო, სახლის დირექტორი დავაკავეთ და ბრალი ოფიციალურად წავუყენეთ. პარალელურად, ოჯახს, რომელმაც ბავშვი იყიდა, მყარი გარანტია მივეცით, რომ ბავშვს დავუტოვებდით, თუ ჩვენთან ითანამშრომლებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატარას წავართმევდით. მათაც აღიარეს, რომ სამი წლის წინ, პატარა მართლაც იყიდეს და დირექტორს 10 ათასი მანეთი – ორი მანქანის ფული გადაუხადეს“, – მიყვება ბატონი თენგიზი.

როცა წყვილი სახლის დირექტორს დაუპირისპირეს, მან მწარედ გაიღიმა, კალამი და ფურცელი მოითხოვა და ერთი საათის განმავლობაში, რაღაცას წერდა, ბოლოს, დაწერილი გამომძიებელს გადასცა და მკაფიოდ განაცხადა – „არაფრის მრცხვენია!“ ფურცელზე აღიარებითი ჩვენება და იმ რვა ბავშვის მისამართი იყო დაწერილი, რომლებიც მან, ასევე, გაყიდა. დირექტორმა მოყოლა დაიწყო...

„ბავშვის აყვანის მსურველი ძალიან ბევრია, მაგრამ პროცედურებია გასავლელი, ამიტომ პატარებს შესაფერისი ოჯახების მოძებნაში ვეხმარებოდი. დიახ, ამაში გასამრჯელოს ვიღებდი, მაგრამ სამაგიეროდ, ზუსტად ვიცოდი, რომ პატარების მომავალი უზრუნველყოფილი იქნებოდა. გადაამოწმეთ ყველა და თუ იტყვით, რომ რომელიმე ცუდ პირობებში ცხოვრობს, დამხვრიტეთ“...

სამ დღეში, სამართალდამცავებმა ყველა ოჯახი შეამოწმეს და გაოცებულები დარჩნენ. ცხრავე შემთხვევაში, ბავშვები საშუალოზე ბევრად შეძლებულ ცოლ-ქმარს ჰყავდა ნაშვილები და ყველა შემთხვევაში, ისინი პატარებს არაფერს აკლებდნენ. მეზობლები ადასტურებდნენ, რომ პატარები ნამდვილ სამოთხეში ცხოვრობდნენ და არა მარტო ბავშვობა, არამედ, მომავალიც უზრუნველყოფილი ექნებოდათ, ასეთი მშობლების პირობებში.

იპოვეს იმ გოგონას ძმაც, რომელიც შეძლებულ ოჯახს ჰყავდა ნაშვილები, თუ ნაყიდი. საქმე სასამართლოს გადაეცა, არაოფიციალურად, მაგრამ მაინც, სახლის დირექტორს კოლეგები გვერდში დაუდგნენ და განაცხადეს, რომ ბიუროკრატიული ბარიერების გამო, წლების მანძილზე, ოჯახებს რიგში დგომა უწევდათ.

სასამართლომ ცხრა ბავშვის გაყიდვაში ბრალდებულ დირექტორს შვიდწლიანი სასჯელი შეუფარდა. ეს იყო მინიმუმი, რომელსაც აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებდა და ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა ძალოვნებს საქმის გახსნა დიდად არ უხაროდათ.

შემაძრწუნებელი დანაშაულებრივი სქემა – როგორ ჰყიდიან ქართველ ქალებს და მამაკაცებს თურქეთში მონებად

გაუხმაურებელი სპეცოპერაციის სკანდალური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს ბევრი მოქალაქე დაიბნა. საქმე ის გახლდათ, რომ მოსახლეობას, რომელსაც მანამდე საზღვარგარეთ გასვლის უფლება არ ჰქონდა, შესაძლებლობა მიეცა, ენახა ქვეყნები, რომლებსაც მანამდე მხოლოდ სურათებით იცნობდა, თუმცა ევროპა მაშნვე სიხარულით არ შეხვდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის წარმომადგენლებს და ვიზაზე შესვლა, შემდეგ ლოდინი და საბოლოო ჯამში, მიღებული უარი, ბევრს თრგუნავდა. ძალიან, ძალიან ცოტას აძლევდნენ გასვლის უფლებას ევროპაში, რასაც ვერ ვიტყვით თურქეთზე. ჩვენი მეზობელი ქვეყანა, რომელიც სერიოზული ეკონომიკური ნახტომისთვის ემზადებოდა, სტუმართმოყვარე აღმოჩნდა და ფართოდ გააღო კარი, რომელიც ძირითადად, საკუთარი თავისთვის სჭირდებოდა. ასე დაიწყო თურქეთში გასვლა წლობით ნაგროვებმა ქართულმა დოვლათმა – იქ იყიდებოდა ყველაფერი, ფერადი ლითონები, ფოტოაპარატები, უთოები, სარეცხის მანქანები და... ადამიანები. ჰო, ადამიანები, რადგან კრიმინალთა გარკვეული წრე მალე მიხვდა, რომ 80-მილიონიან თურქეთში ადამიანის გაქრობა მარტივი იყო. სიტყვა ტრეფიკინგის მნიშვნელობაც ბევრმა მაშინ გაიგო.

„ახალგაზრდა გოგონების კვალი თურქეთში ხშირად იკარგებოდა. ოჯახები გვეუბნებოდნენ, რომ ისინი სამუშაოდ წავიდნენ, რომ თხილი ან ჩაი უნდა ეკრიფათ, ან ფაბრიკაში ტანსაცმელი შეეკერათ, მაგრამ მათ კვალს, უბრალოდ, ვეღარ პოულობდნენ, ისინი ქრებოდნენ. რეალურად, შინაგანად, ყველამ იცოდა, რომ გოგონები არალეგალურ ბორდელებში გადაჰყავდათ. არალეგალური ბორდელებს ფორმალურად ერქვა, რადგან ყველამ იცოდა მათი არსებობის შესახებ, ადგილობრივი სამართალდამცავები ფულს იღებდნენ, მამაკაცები კი ხშირად სტუმრობდნენ და შემდეგ, ჩაიხანებში, იქაურ „გმირობებზე“ ჰყვებოდნენ“, – გვიამბობს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მაშინ, ქართველ სამართალდამცავებს შიდა სიტუაცია ჰქონდათ დასალაგებელი და ამიტომ, არავის ეცალა საზღვარგარეთ ვინმეს მივლინებისთვის, თურქული მხარე კი ინფორმაციის მოწოდებით თავს, უბრალოდ, არ იწუხებდა. ყველაზე ცუდი ამ ჯაჭვში ის გახლდათ, რომ საზღვარგარეთ გოგონები, ძირითადად, ქართველ ქალებს გაჰყავდათ, ისინი ამბობდნენ, რომ იქ საქმე აწყობილი ჰქონდათ, ზღაპრულ ცხოვრებას ჰპირდებოდნენ და განსაკუთრებით რეგიონებიდან, გამოუცდელი გოგონები პირდაპირ ბორდელებში ხვდებოდნენ. შსს-მ გადაწყვიტა, ყველა თუ არა, რამდენიმე ქსელი მაინც გამოევლინა, რათა კონკრეტული პირების დასჯით, ეგებ, სხვები შეშინებულიყვნენ.

ვერსია, რომ რამდენიმე გოგონა მათთვის შეეტყუებინათ, ვინც დასაქმებას ჰპირდებოდა, მაშინვე უკუაგდეს, რადგან გოგონები თურქეთში თუ არ გადავიდოდნენ, შეუძლებელი იქნებოდა გარკვევა, რეალური დამსაქმებელი იყო თუ ადამიანებით მოვაჭრე. თურქეთში კი, დიდი იყო იმის შანსი, რომ ქართველ სამართალდამცავებზე მეტად, იქაურ პოლიციას მონებით მოვაჭრეებისთვის დაეჭირა მხარი, მსუყე ქრთამის მოლოდინში. საქართველოში კი იმის დამტკიცება, რომ ვიღაცას ქალები ბორდელში სამუშაოდ გადაჰყავდა, ძალიან ძნელი იქნებოდა, თუმცა...

„გადაწყდა, რომ საეჭვო რეპუტაციის მქონე სააგენტოები გვეკონტროლებინა და როცა ისინი საჭირო ოდენობის გოგონებს მოაგროვებდნენ, მათთან ერთად, იგივე ავტობუსით, ორი თანამშრომელი წავსულიყავით, გვენახა, რა ხდებოდა ადგილზე და შემდეგ გვემოქმედა. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მე და კიდევ ერთი განყოფილების უფროსი უნდა გავყოლოდით ავტობუსს, მაგრამ არ მიგვქონდა ტაბელური იარაღი, არ მიგვქონდა „ქსივა“ ანუ ვიყავით რიგითი ტურისტები და თუ საჭირო გახდებოდა იმის მტკიცება, რომ ჩვენ ნამდვილად ქართველი სამართალდამცავები ვიყავით, თურქეთიდან პირდაპირ მინისტრის მოადგილის კაბინეტში უნდა დაგვერეკა. მოვემზადეთ, კონკრეტულ ჯგუფს ვუთვალთვალეთ და მათთან ერთად თურქეთისკენ მიმავალ ავტობუსში უდარდელი სახით ავედით“, -ჰყვება ბატონი თენგიზი.

თურქეთში გოგონები სამსუნში შესვლამდე, პატარა დაბაში ჩამოვიდნენ, ორსართულიან სახლში შევიდნენ და კარი მძიმედ დაიხურა. ქართველი სამართალდამცავებიც იქვე იყვნენ და ყურადღებით აკვირდებოდნენ, რა მოხდებოდა. მეორე დღეს, სახლთან ათამდე ავტომობილი გამოჩნდა. გოგონები ორ-ორად გაჰყავდათ და მანქანებში სვამდნენ. დაბნეულობა და დაძალება არცერთს ეტყობოდა, გარდა ერთი გოგონასი და ამიტომ, ქართველი ძალოვნებიც ტაქსით, სწორედ იმ მანქანას გაჰყვნენ, რომლითაც უკმაყოფილო და ლამის ატირებული გოგონები წაიყვანეს.

„ეს, ალბათ, კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა იყო. ორივე გოგონა საავადმყოფოში მიიყვანეს, თურმე, ნერვიულობით ერთ-ერთს გული აერია, მეორე მისი ნათესავი იყო და გაჰყვა, დანარჩენები კი... აი, იმ გოგონებიდან ორი გაქრა, მშობლებმა ძებნა 10 დღის შემდეგ დაიწყეს, დანარჩენები კი მართლაც დასაქმდნენ, ზოგი – სად, ზოგი – სად. როგორ გაგვერკვია, იმ მანქანებიდან რომელი იყო კრიმინალების, წარმოდგენა არც ჩვენ გვქონდა და არც – თბილისელ მეგობრებს“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

გადაწყდა, შსს-ს სპეცსახსრებიდან თანხა უნდა გამოეყო და რომელიმე თურქი სამართალდამცავი მოექრთამათ, რათა სავარაუდო ეჭვმიტანილთა ვინაობა გაეგოთ, თუმცა ეს არცთუ მარტივი აღმოჩნდა. თურქი კოლეგები ყოველთვიურ შემოსავალს იყვნენ დაჩვეულები და სურვილი არ ჰქონდათ, ერთჯერადი თანხის მიღებით, ყოველთვიური სარჩო მოესპოთ. ბოლოს, ყველაფრის მოგვარება ოფიციალურ დონეზე გადაწყდა – ქართველმა მინისტრმა თურქ კოლეგას დაურეკა და ამცნო, რომ დაკარგულ გოგონებზე განცხადებებს ვეღარ აუდიოდნენ და დახმარება აუცილებელი იყო. თურქმა კოლეგამ დახმარება აღუთქვა და მართლაც, ორიოდ კვირაში, რამდენიმე ქალაქში, ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, 37 ქართველი გოგონა გაათავისუფლეს ტყვეობიდან. ისინი საქართველოში გამოადეპორტეს (თურქეთში დაბრუნება 5 წლით აეკრძალათ) და აქედან დაიწყო იმ დიდი კრიმინალური ბუდის დანგრევა, რომელსაც ასე სათუთად აშენებდნენ კონკრეტული ადამიანები.

„გათავისუფლებული გოგონები საქართველოში ჩვენ ჩამოვიყვანეთ. სპეციალურად, მათ მშობლებსა და ნათესავებს წინასწარ არაფერი შევატყობინეთ, ისინი უნდა დაგვეკითხა და მაქსიმალური ინფორმაცია მიგვეღო, მაგრამ ნახევარზე მეტი ისე იყო შეშინებული, მხოლოდ იმას იმეორებდა, სახლში გამიშვით, მეტი არაფერი მინდაო“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

თუმცა, სამართალდამცავებმა მაინც მოახერხეს და რამდენიმეს ჩვენება მიაცემინეს კონკრეტული პირების წინააღმდეგ, რომლებსაც გოგონები თურქეთში გადაჰყავდათ და აყვანის სპეცოპერაციაც ჩატარდა. სწორედ რომ სპეცოპერაცია, რადგან ეჭვმიტანილებიდან ორი პირადი დაცვის თანხლებით დადიოდა, ხოლო დანარჩენებს ისეთი მფარველები გამოუჩნდათ, სამინისტროშიც კი პირი დააღეს. საბოლოო ჯამში, გამომძიებლებმა მოახერხეს და ყველა ვერა (?!), მაგრამ უმეტესობა პასუხისგებაში მისცეს. დანარჩენებსაც მისცემდნენ სამართალში, მაგრამ როგორც ჩანს, გოგონებს ან გადაუხადეს, ან უბრალოდ, შეაშინეს და მათ სასამართლოზე ჩვენება შეცვალეს. ეს იყო პირველი და მძლავრი შეჯანჯღარება იმ დანაშაულებრივი ქსელისა, რომელსაც თურქეთში ქართველი გოგონები მონებად მიჰყავდა, თუმცა ამის შემდეგ უარესი იწყებოდა და წარმოდგენაც არავის ჰქონდა. საქართველოდან მონებად უკვე მამაკაცების წაყვანა დაიწყეს, მათ ამუშავებდნენ, ხელფასს არ აძლევდნენ და აჭმევდნენ მხოლოდ იმდენს, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ.

„იმ წლებში, ანალოგიური სპეცოპერაცია რამდენჯერმე ჩავატარეთ, თუმცა ყველა შემთხვევაში, ეს იყო ზღვაში წვეთი იმ მასშტაბებთან შედარებით, რაც რეალურად ხდებოდა. ბევრმა არ იცის, მაგრამ თურქული ტყვეობიდან 220 ქართველი კაცი გვყავს დახსნილი, რომლებიც თხილის პლანტაციებში, თვეების განმავლობაში, მონებად მუშაობდნენ და რაც ყველაზე საინტერესოა, როცა სეზონი არ იყო, მათ უბრალოდ, აგდებდნენ, ტყუილად რომ არ ეჭმიათ და თან დარწმუნებულები იყვნენ, რომ სეზონზე ასეთ მონებს ისევ იშოვნიდნენ და ქართველი ქართველს ისევ გაიმეტებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

იმის გამო, რომ ადამიანებით მოვაჭრეთა შორის კონკურენცია დიდი იყო, მონების ფასმა კატასტროფულად დაიკლო. თუ პირველ ჯერზე, ქალებში 4-5 ათას დოლარს იხდიდნენ, შემდეგ ეს ფასი 700-800 დოლარამდეც კი დაეცა, მამაკაცებს კი 500 დოლარადაც იშოვიდა მონდომებული „მონათმფლობელი“. როგორ არ გავიხსენოთ, მე-16 და მე-17 საუკუნეები, როცა ქართველ ტყვეებს სტამბულის ბაზარზე მიერეკებოდნენ. სწორედ ის საუკუნეები დაბრუნდა საქართველოში და სამწუხაროდ, თითო-ოროლა შემთხვევა დღესაც არის, თუმცა ეს მხოლოდ საქართველოს კი არა, ყველა ქვეყნის პრობლემაა, რადგან ტრეფიკინგი ერთ-ერთი მომგებიანი კრიმინალური ბიზნესია. მეტიც, ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთიდან, მოლდოვადან და ბელარუსიდან, ყოველწლიურად, სხვადასხვა ქვეყნებში, ასობით გოგონას ერეკებიან და უმრავლესობის კვალი, უბრალოდ, ქრება.

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაღაც ისეთი აქვს ჩადენილი, რასაც მხოლოდ საკუთარ თავს უყვება, ან საკუთარ თავთანაც არ აღიარებს და ამ ისტორიის დავიწყებას ცდილობს. წარსულის აჩრდილები ხშირად გვახსენებენ თავს, მათგან გათავისუფლებას ბევრი ცდილობს, მაგრამ ყველას არ გამოსდის...

მკვლელობა თბილისის საავიაციო ქარხანაში

რა მოხდა ავღანეთში, რის გამოც ქართველ მებრძოლზე შური იძიეს

პრაქტიკულად, ყველამ იცის თბილისის საავიაციო ქარხნის შესახებ, მაგრამ შესაძლოა, ძალიან ცოტას თუ გაუგია, რომ ქარხანა 1941 წელს, მას შემდეგ გაიხსნა, რაც ტაგანროგისა და სევასტოპოლის საავიაციო ქარხნები თბილისში იქნა ევაკუირებული. ევაკუაციის შემდეგ, ძალიან მალე, ქარხანამ წარმოებაში გაუშვა პირველი მოიერიშე თვითმფრინავი „ლაგგ-3“. სამამულო ომის პერიოდში, ქარხანა „იაკ-3“ და „ლა-3“-საც აწარმოებდა. ომის დასრულების შემდეგ იყო რეაქტიული მოიერიშე „იაკ-15“, „იაკ-17“ და „იაკ-23“. სავარაუდოდ, ბევრმა ისიც არ იცის, რომ თბილისის საავიაციო ქარხანა ყველაზე მსხვილი მანქანათმშენებელი კომპანიაა კავკასიაში...

მოკლედ, 1986 წელს, თბილისში მოკლეს მამაკაცი, რომელიც მანამდე, სწორედ აღნიშნულ ქარხანაში მუშაობდა. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ობიექტთან ჰქონდათ საქმე, მკვლელობა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს. გაჩნდა ვარაუდი, რომ ქარხნის ყოფილ მუშას, შესაძლოა, რამე ინფორმაცია გამოსტყუეს და ამის შემდეგ „გაასაღეს“. დაიკითხნენ ქარხნის ხელმძღვანელები, გაარკვიეს მიზეზი, რის გამოც ის გაათავისუფლეს, თუმცა საინტერესო ვერაფერი გაიგეს.

„ის დარაჯად მუშაობდა. ავღანეთში მსხაურობდა, დაიჭრა, დაინვალიდდა და ამიტომ, დარაჯად მივიღეთ. თავად ითხოვდა, აქ მინდა მუშაობა, მფრინავი ვიყავი და თვითმფრინავებს ახლოდან მაინც შევხედავ, ამათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლიაო, თუმცა მუდმივად სვამდა. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, დალევა არ მოიშალა და ამიტომ, ობიექტის სერიოზულობიდან გამომდინარე, გავათავისუფლეთ. ეს, დაახლოებით, ერთი წლის წინ მოხდა და მას შემდეგ არასდროს გვინახავს. მეტიც, ქარხანაში შესვლის უფლებაც კი არ ჰქონდა, მხოლოდ გარე პერიმეტრს დარაჯობდა და ამიტომ, გამორიცხულია, რამე სცოდნოდა“, – ასეთი იყო ქარხნის ოფიციოზის პოზიცია.

ქარხნიდან წამოსვლის შემდეგ, ის ინვალიდის პენსიით ცხოვრობდა, თუ ამას ცხოვრება ერქვა. ძირითადად, ნასვამ მდგომარეობაში, კორპუსის ეზოში, სკამზე იწვა, ან სახლში, ღია კარში ეძინა და არავის აწუხებდა. მეზობლების თქმით, მასთან ხშირად დადიოდა ჯარის მეგობარი, რომელიც ცდილობდა, როგორმე ალკოჰოლისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ სრულდებოდა. სამართალდამცავებს მეგობრის მოძებნა არ გასჭირვებიათ, თუმცა მან მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლებოდა მოეკლა, არავის არაფერს უშავებდა, ავღანეთში კი ამის გარდა, იმდენი იბრძვის, ყველას რომ ასე დაერიონ, სად წავალთო. მეტიც, გარდაცვლილი და მისი მეგობარი მფრინავები იყვნენ, ძირითადად, ჯარისკაცები ან ადგილობრივი მოსახლეობა გადაჰყავდათ, მოიერიშეებზე ორ-სამჯერ თუ ისხდნენ და მტრებიც არ უნდა ჰყოლოდათ, თანაც გარდაცვლილი პარაშუტის თოკით იყო გაგუდული, მარყუჟი გაუკეთეს და მოახრჩვეს. დიდ წინააღმდეგობას, ალბათ, ვერ გასწევდა, რადგან ექსპერტიზის დასკვნით, ალკოჰოლის საკმაო დოზა ჰქონდა მიღებული.

ძიებას ხელში, პრაქტიკულად, არაფერი ჰქონდა, ვერც ნათესავებმა, ვერც მეგობრებმა, თუ მეზობლებმა გაიხსენეს თუნდაც ერთი კონფლიქტი, რომლის გამოც შესაძლებელი იქნებოდა მისი მოკვლა, მაგრამ საინტერესო ის გახლდათ, რომ სახლის ჩხრეკის დროს, ბინაში ქალის სამი კაბა და ბლუზა იპოვეს. არადა, გარდაცვლილს არც ცოლი ჰყავდა და მეგობარ ქალზე საუბარი ხომ ზედმეტი იყო. ვის უნდოდა გალოთებული და ინვალიდი კაცი, რომელსაც პენსიის გარდა, შემოსავალი არ ჰქონდა.

ტანსაცმლის მფლობელი ქალი მალე იპოვეს – ერთ-ერთმა მეზობელმა ბებომ „საიდუმლოდ“ თქვა, მაგის ბინიდან, ზედა სართულზე რომ ლამაზი ქალი ცხოვრობს, ის გამოვიდა ერთხელ და მაგას ისეთი ეჭვიანი ქმარი ჰყავს, შეიძლება, სწორედ იმას მოეკლაო. გარდაცვლილის ბინაში ნაპოვნ ქალის ტანისამოსზე თმის რამდენიმე ღერიც აღმოაჩინეს და ექსპერტს არ გასჭირვებია იმის დადასტურება, რომ თმა სწორედ მეზობლის ქალს ეკუთვნოდა. ის დაკითხვაზე დაიბარეს.

„არ ვმალავ, რომ ეჭვიანი ქმარი მყავს და საკმარისია, სახლში ტრანსპორტის ან სხვა რამის გამო, თუნდაც ხუთი წუთი დავაგვიანო, ქმარი სასტიკად მცემს. სადმე ხომ უნდა დავმალულიყავი ხოლმე? ჩვენს მეზობელს კარი მუდმივად ღია ჰქონდა, ამიტომ, იქ ვიმალებოდი და ქმარი ვერ ხვდებოდა. ქმარი კი არა, მეზობელიც ვერ ხვდებოდა, ალბათ, სულ ეძინა და სანამ გაიღვიძებდა, მე მივდიოდი. კაბებიც იმიტომ ჩავიტანე, ხანდახან ქმარი შემომახევდა ხოლმე და გარეთ რამით ხომ უნდა გავსულიყავი? კარადაში გარდაცვლილს არაფერი ჰქონდა, იქ არ იხედებოდა და ამიტომ, ჩემი კაბები ხელუხლებელი მხვდებოდა. იცოდა თუ არა ქმარმა, სადაც ვიმალებოდი? მეზობლის გარდაცვალებამდე, ერთი დღით ადრე გაიგო“, – განაცხადა ქალმა და ასე გაუჩნდა გამოძიებას მთავარი ეჭვმიტანილი – ეჭვიანი ქმარი, რომელსაც მარტივად შეეძლო ეფიქრა, რომ მისი ცოლის საყვარელი, სწორედ ვეტერანი ლოთი იყო. მამაკაცი დააკავეს და დაკითხვაზე გადაიყვანეს, თუმცა შუა დაკითხვის დროს ისეთი რამ მოხდა, რამაც ქმარი, უბრალოდ, გაამართლა.

დაკითხვა ნახევარი საათის დაწყებული იყო, როცა მილიციის განყოფილებაში გარდაცვლილის მეგობარი მოვარდა და განაცხადა, სადარბაზოში ჩემი მოკვლა სცადეს, გაგუდვა უნდოდათ, მეზობელმა გამოიხედა შემთხვევით, ის დამეხმარა, თორემ ახლა მკვდარი ვიქნებოდიო. მასაც პარაშუტის თოკით კლავდნენ და მასაც ზუსტად ისე, როგორც მანამდე – მისი მეგობარი. იმ დროისთვის მთავარი ეჭვმიტანილი დაკითხვაზე იმყოფებოდა, შესაბამისად, თავდასხმას ვერ შეძლებდა და ესეც არ იყოს, ჯარის მეგობრების მკვლელობას ფესვები აუცილებლად შორეულ ავღანეთში უნდა ჰქონოდა, თანაც ჩანდა, რომ სიკვდილს გადარჩენილი ყოფილი ჯარისკაცი გაჩუმებას აღარ აპირებდა.

„ჩემი მეგობარი ბრძოლაში არ დაინვალიდებულა. ჩვენ ადგილობრივი მაცხოვრებლები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე უნდა გადაგვეყვანა. ორივე უნდა წავსულიყავით და ამ დროს, ერთ-ერთი რუსი მაღალჩინოსანი სამხედრო მოგვადგა, მთლად გენერალი არ იყო, მაგრამ გავლენით გენერლებს სჯობდა. მან თვითმფრინავში, მგზავრებთან ერთად, სამი ყუთი ამოიტანა და გვითხრა, იმ ქალაქში რომ ჩახვალთ, ამ ყუთებს ჩემი ხალხი წაიღებსო. მერე, ისე მოხდა, რომ მე გული ამერია, მწვავე მოწამვლა დამიდგინეს და ჩემი მეგობარი მარტო გაფრინდა. ფრენის დროს, ერთ-ერთ მგზავრს მშობიარობა დაეწყო და დანიშნულების ადგილის ნაცვლად, გარდაცვლილმა თვითმფრინავი სხვაგან დასვა. იქ მშობიარეს დახმარება კი აღმოუჩინეს, მაგრამ თვითმფრინავის ბარგიც შეამოწმეს და იარაღი აღმოაჩინეს, არალეგალური იარაღი. ჩემი მეგობარი არაფრის თქმას აპირებდა, თუმცა აწამეს, ისე აწამეს, რომ დაინვალიდდა და თქვა, ვინც აიტანა ტვირთი თვითმფრინავში. მერე რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ის კაცი გაქრა და მას შემდეგ აღარ მინახავს“, – განაცხადა გარდაცვლილის მეგობარმა პილოტმა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში უშიშროების კომიტეტიც იყო ჩართული, საჭირო კაცის სახელისა და გვარის გაგება პრობლემა არ ყოფილა. მეტიც, ისიც გაირკვა, რომ აღნიშნული პიროვნება საქართველოში ორი კვირის წინ ჩამოვიდა და მასზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა. მკვლელი მესამე დღეს, სომხეთში დააკავეს და ქართველ სამართალდამცავებს გადასცეს.

„ამ ორი იდიოტის გამო, ცხოვრება დავკარგე. გგონიათ, საბჭოთა ჯარმა დამიჭირა და გამაქრო? არა, იქაურებმა წამიყვანეს, მათ, ვინც უზარმაზარი თანხა გადამიხადეს იარაღის სანაცვლოდ, ამან კიდევ, ვიღაც დედაკაცის გამო, თვითმფრინავი სხვაგან დასვა. ამ ხნის განმავლობაში მონა ვიყავი, ჩვეულებრივი მონა და გაქცევა ახლაღა მოვახერხე, მაგრამ გაქცევის დროს, თვალი დავკარგე. ერთი წელი დამჭირდა მკურნალობისთვის და იმის გასააზრებლად, ვინ უნდა დამესაჯა. გული დამწყდა, მეორე რომ ვერ მოვკალი. ის ბორტზე არ იყო, მაგრამ მგონია, რომ გული ნერვიულობით აერია და თვითმფრინავში რომ ყოფილიყო, სხვაგან დაშვების ნებას არ მისცემდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

ამის მიუხედავად, მისი საქართველოში გასამართლება ვერ მოხერხდა. მოსკოვმა მისი ექსტრადიცია განახორციელა, აქაოდა, მასთან კითხვები ჩვენს უშიშროებასაც აქვს, საერთოდ არ ვიცოდით, თუ ცოცხალი იყო, თორემ სამშობლოს ღალატისთვის, აქამდეც დავაკავებდითო...

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჭადრაკში შიდა ტურნირი ჩაატარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ჭადრაკის შიდა ტურნირი ჩატარდა. ჩემპიონატი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია FIDE-ს წესებით, შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად წარიმართა.

შიდა ტურნირი მიზნად ისახავდა სამინისტროს სისტემაში ჭადრაკის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაციას და უწყების მოსამსახურეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას.

I ადგილი დაიკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა თორნიკე გაბუნიამ.

II ადგილზე გავიდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ქსოვრელი, ხოლო III ადგილზე – თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ნონა დათუაშვილი.

ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასულ მონაწილეებს, სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქართან ერთად, ფულადი ჯილდოც გადაეცათ.

პოლიციამ თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ა.ლ. ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ, თბილისში მდებარე სასტუმრო „ამბასადორის“ ერთ-ერთ ნომერში მყოფმა სტუმარმა გააჩინა ხანძარი, რომელიც გავრცელდა სასტუმროს მესამე და მეოთხე სართულებზე.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე გამოცხადდნენ სამართალდამცველები და მეხანძრე-მაშველები, რომლებმაც დაიწყეს ხანძრის ქრობის სამუშაოები.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

პროკურატურამ ვარკეთილში განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, თბილისში, ვარკეთილში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 9 აპრილს, თბილისში, ვარკეთილი 3-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ბრალდებულმა დაზარალებულს დანით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანების შედეგად, დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

„სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირი იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“, – ნათქვამია ინფორმაციაშია.

ბადრი ესებუას საქმის პროკურორი: „დაცვის მხარემ მტკიცებულებათა უმრავლესობა უდავოდ სცნო, მოითხოვა მხოლოდ სუნის ნიმუშებისა და მასრების გამოკვლევა

„საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებაში ბრალდებული ბადრი ესებუას საქმის პროკურორის, მირანდა წერეთლის თქმით, პროცესზე ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა იგეგმებოდა. მისივე თქმით, დაცვის მხარემ მტკიცებულებათა უმრავლესობა უდავოდ ცნო, მოითხოვა მხოლოდ სუნის ნიმუშებისა და მასრების გამოკვლევა. აღნიშნულ მტკიცებულებებს ბრალდების მხარე სასამართლო სხდომაზე გამოიკვლევს, რომელიც 10 აპრილს გაიმართება.

„დღეს ბრალდების მხარემ გააგრძელა მტკიცებულებათა გამოკვლევა. გამოვკითხეთ ერთი დაზარალებული, ასევე, ჩვენ ვგეგმავდით ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევას, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია, თუმცა დაცვის მხარემ მტკიცებულებათა უმრავლესობა უდავოდ სცნო, მოითხოვა მხოლოდ სუნის ნიმუშებისა და მასრების გამოკვლევა და ამ მტკიცებულებებს ბრალდების მხარე გამოიკვლევს შემდეგ სასამართლო სხდომაზე“, – განაცხადა მირანდა წერეთელმა.

ბადრი ესებუას ადვოკატის, იოსებ ჯანაშიას თქმით, სხდომაზე ბრალდების მხარე იმ მოწმეების გამოკითხვას ითხოვდა, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებიან. თუმცა, მისივე თქმით, მან მოსამართლეს მიმართა შუამდგომლობით, რომ აღნიშნული პირები, შესაძლოა, დაბრუნდნენ ქვეყანაში სასამართლო პროცესის დასრულებამდე, ამიტომ მოითხოვა მათი გამოკითხვა შემდგომ სხდომებზე. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა დასაშვებად ცნო.

„პროცესზე გამოიკითხა ერთი მოწმე, რომელიც მოცემულ საქმეზე იყო დაზარალებული და რომელსაც თვალით არ უნახავს მძარცველი. მან განაცხადა, რომ გაიგო, ეს იყო ბადრი ესებუა, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი ეს, მასმედიის საშუალებით, ორი დღის შემდეგ გაუგია. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საზღვარგარეთ გასული მოწმეების გამოკითხვასთან დაკავშირებით, თუმცა ჩვენ ვიშუამდგომლეთ, რომ აღნიშნული პირები შესაძლებელია დაბრუნდნენ საქართველოში სასამართლო პროცესის დასრულებამდე, ამიტომაც მოვითხოვეთ მათი გამოკითხვა შემდგომ პროცესებზე და სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, რომელიც დღევანდელ პროცესზე გაირკვა, ბრალდების მხარეს უნდოდა ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა, თუმცა ამ ნივთიერი მტკიცებულებებიდან დაცვის მხარის შუამდგომლობით გამოკვლეული იქნება მხოლოდ ბალისტიკურ ექსპერტიზაზე გაგზავნილი მასრები და ასევე, ოდოროლოგიურ ექსპერტიზაზე გაგზავნილი სუნის ნიმუშები“, – განაცხადა იოსებ ჯანაშიამ.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში, 2020 წლის 21 ოქტომბერს, შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ, 500 ათას აშშ დოლარსა და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

წუხელის ბიჭი დაბადებულა...

ნეაპოლში კვარამანია გრძელდება. იტალიურმა წყვილმა – არმანდომ და კლარამ ახალშობილს დანიელე-ხვიჩა დაარქვეს. რა თქმა უნდა, ეს ქართველი ფეხბურთელის პატივსაცემად და ბავშვის მამამ ყველაფერი მარტივად ახსნა:

„მე 1986 წელს დავიბადე და დიდი დიეგო არმანდო მარადონას გამო, არმანდო მქვია. მამაჩემი ახლა ზეცაშია და დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილებას მომიწონებდა. ბავშვის გარდა, კიდევ ორი ოცნება მაქვს – „ნაპოლიმ“ იტალიის ჩემპიონატი მოიგოს და ამ ზეიმს მამამ ზეციდან ადევნოს თვალი“.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ ის, რომ იაპონიაში, დღესაც არაერთ შოთას შეხვდებით. ამომავალი მზის ქვეყანაში, შვილს შოთას ერთადერთი მიზეზით, ლეგენდარული ქართველი ძიუდოისტის, შოთა ჩოჩიშვილის პატივსაცემად არქმევენ.

ახლა, რაც შეეხება საფეხბურთო მხარეს. „ნაპოლი“ ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება და 12 აპრილს, „სან სიროზე“ „მილანს“ სტუმრობს. 18 აპრილს, საპასუხო მატჩი გაიმართება, თუმცა თქმა არ უნდა, ისტორიაში პირველად, ლიგის მეოხედფინალში გასული ნეაპოლელები, პირველივე შეხვედრაში შეეცდებიან, რომ საშინაო მატჩისთვის იმედი არ გადაიწურონ. ამის მიუხედავად, ლუჩანო სპალეტიმ ძირითადი ბირთვი არ დაასვენა და 7 აპრილს, სერია A-ში, „ლეჩესთან“ გუნდმა უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. განაცხადში, ტრავმის გამო არ იყო ვიქტორ ოსიმენი და მატჩის დროს დაშავდა მეორე ფორვარდი, ჯოვანი სიმეონეც. შესაბამისად, თუ 12 აპრილისთვის, რომელიმე თავდამსხმელი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, სპალეტის დიდი თავსატეხი გაუჩნდება.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, „ნაპოლიმ“ მძიმედ, მაგრამ მაინც მოიგო. ხვიჩა კვარაცხელია შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე შეცვალეს და ახლა, იტალიის ჩემპიონატის დარჩენილ ცხრა ტურში, „ნაპოლიმ“ ოთხი მატჩი რომ მოიგოს, ჩემპიონობას უპრობლემოდ გაინაღდებს. თუმცა, გულშემატკივარს, სერია A-ს ოქროს მედლებთან ერთად, ახლა უკვე ჩემპიონთა ლიგის მოგებაც უნდა... ჩვენც გვინდა...

ჩეფერინთან ერთად, კობიაშვილიც აირჩიეს

სლოვენიელი ალექსანდრ ჩეფერინი უეფა-ს პრეზიდენტად კიდევ ერთხელ, ოთხწლიანი ვადით აირჩიეს და ევროპულ ფეხბურთს იგი 2027 წლამდე უხელმძღვანელებს. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის გრანდ-კლუბები დამოუკიდებელი სუპერ-ლიგის ჩამოყალიბებას აპირებენ, რომელმაც კონკურენცია ჩემპიონთა ლიგას უნდა გაუწიოს, მომავალ წლებში, ჩეფერინს სერიოზული სამუშაო ექნება ჩასატარებელი, რათა ევროპული ფეხბურთი უეფა-ს ჩარჩოებიდან არ გავიდეს.

პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად, ჩატარდა უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევნები და სასიხარულოა, რომ ერთ-ერთ წევრად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლევან კობიაშვილი აირჩიეს. მან 40 ხმა მიიღო და როგორც ჩეფერინი, კომიტეტის წევრი ისიც ოთხი წლის განმავლობაში იქნება. ცნობისთვის, კობიაშვილი პირველი ქართველია, ვინც უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს.

მამარდაშვილის მენეჯერები ლონდონში არიან

ყველა თანხმდება, რომ გიორგი მამარდაშვილისთვის „ვალენსიაში“ ასპარეზობა უვკე აღარ შეიძლება და ის ბევრად მაღალ დონეზე უნდა თამაშობდეს. მართლაც, მიმდინარე სეზონში, „ღამურები“ საშინელ ფეხბურთს აჩვენებენ, არც მწვრთნელის შეცვლამ უშველა რამე და ძალიან დიდია იმის შანსი, რომ პრიმერა-დივიზიონიდან სეგუნდაში დაქვეითდნენ. 22 წლის ქართველი კიპერის მიმართ ინტერესს „ვალენსიაზე“ ბევრად ძლიერი არაერთი კლუბი იჩენს. ბრიტანულმა სააგენტოებმა დაწერეს, რომ გიორგის მენეჯერები ლონდონში იმყოფებიან. მათივე თქმით, ქართველი კიპერის წარმომადგენლები „ჩელსის“ ხელმძღვანელებს შეხვდნენ და „არისტოკრატებში“ მამარდაშვილის შესაძლო ტრანსფერი განიხილეს.

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე, „ჩელსიში“ გიორგის გადასვლა არამართებული იქნება, რადგან ძირითად შემადგენლობაში მყარად ზის ესპანელი კეპა არიზაბალაგა და იმის გათვალისწინებით, რომ ლონდონელთა თავკაციც ესპანელია, ძირითადიდან მისი ამოგდება გაძნელდება. ესეც არ იყოს, ლონდონური კლუბის მეორე კიპერი, სენეგალის ნაკრების მეკარე ედუარდ მენდი გახლავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ გიორგის მეორეობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამიტომ, გვგონია, რომ ლონდონში მამარდაშვილის მენეჯერები არა „ჩელსის“, არამედ, „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობასთან სასაუბროდ არიან ჩასულები. „მამლების“ კარს უგო ლორისი იცავს – საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი და კიპერი, მაგრამ ყველა აღარებს, რომ 36 ვეტერანი ამ დონეზე უკვე ვეღარ თამაშობს და „ტოტენჰემი“ მის შემცვლელს აქტიურად ეძებს. ლორისის პოტენციურ შემცვლელთა რიგებში კი მამარდაშვილიც წერია.

რა ღირს ბილეთი მილანი-ნაპოლის შეხვედრაზე

არსებობის ისტორიაში პირველად, „ნაპოლი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში პირველად გავიდა და ორმატჩიან დუელში „მილანს“ დაუპირისპირდება. პირველი შეხვედრა 12 აპრილს, „სან სიროზე“ გაიმართება, 18 აპრილს, საპასუხო მატჩს ნეაპოლში „დიეგო მარადონა“ უმასპინძლებს. „ნაპოლის“ გულშემატკივრებმა კლუბის პრეზიდენტის, აურელიო დე ლაურენტისის წინააღმდეგ აქცია გამართეს, აქაოდა, მატჩზე დასასწრები ბილეთები ძალიან ძვირიაო, თუმცა პრეზიდენტმა ყველაფერი მშვიდად ახსნა.

„მგონია, რომ ბილეთები ძვირი კი არა, იაფია. მილანურ მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი 800 ევროა, ჩვენთან – 500 და არა მგონია, ნეაპოლსა და მილანში, მაგალითად, „მერსედესი“ და „ფიატი“ სხვადასხვა ფასი ღირდეს. ფულის ინტერესი რომ მქონოდა, კლუბს უბრალოდ გავყიდდი, რადგან „ნაპოლის“ სანაცვლოდ, 2.5 მილიარდი ევრო შემომთავაზეს. ფული არ მჭირდება, უბრალოდ, როცა რაღაც განსაკუთრებულის ნახვა გსურს, უნდა იცოდე, რომ ის განსაკუთრებული თანხა ეღირება“, – განაცხადა დე ლაურენტისმა.

პარალელურად, ნეაპოლში საჩემპიონო ზეიმისთვის გამალებული მზადება მიმდინარეობს. „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტურით ადრე, უახლოეს მდევარს 16 ქულით უსწრებს. პრაქტიკულად, ყველა შეგუებულია, რომ 33-წლიანი პაუზის შემდეგ, ნეაპოლური გუნდი ჩემპიონი გახდება. ჩვენთვის კი ყველაზე გასახარი ამ ამბავში ის გახლავთ, რომ ოქროს მედლების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ხვიჩა კვარაცხელიაა, რომელიც იტალიურ ოქროს თავის პირველივე აპენინურ სეზონში დაიკიდებს.

საფინა-ბერულავას დუეტი დასრულდა

ფიგურულ სრიალში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, შარშან, კარინა საფინა-ლუკა ბერულავას წყვილს ნამდვილი ფურორი მოჰყვა და ოქროს მედლები არავის დაუთმო. მაშინვე ითქვა, რომ ქართული დუეტი სამომავლოდ წონიან სიტყვას დიდებშიც იტყოდა, მაგრამ...

„რას ვიზამთ, ეს ისტორიაც დასრულდა... ეს არ იყო ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ ამის შესახებ პირველ ივაცხადებ. ყველაფერს აქვს დასასრული, ზოგჯერ ბედნიერი, ზოგჯერ – არა. ამ ისტორიას არ აქვს Happy End-ი, ასეთია ცხოვრება. ჩემი თანამშრომლობა პავლე სლიუსარენკოსა და ლუკას გუნდთან დასრულებულია. მადლობა, თითოეულ თქვენგანს, ამ განვლილი გზისთვის, რომელიც არ იყო გრძელი და კარდინალურად განსხვავებული და ასევე, შეუფასებელი გამოცდილებისთვის. ამით მხოლოდ ჩემი ცხოვრების ერთი თავი დასრულდა და წერტილი დაესვა. ახლა გადავფურცლავ, ახალ თავს დავიწყებ და კიდევ გავაგრძელებ კარიერას. ვიბრუნებ ფორმას და ვეძებ პარტნიორს“, – ეს განცხადება საკუთარ გვერდზე კარინა საფინამ გაავრცელა.

დვალიშვილი VS სტერლინგი რეალობა გახდა

მოგეხსენებათ, UFC-ის მსუბუქ წონაში, მსოფლიო რეიტინგის ლიდერი მერაბ დვალიშვილია. თუმცა, რეალურად, რეიტინგში პირველი ნომრობა არაფერს ნიშნავს, რადგან ამ წონაში ჩემპიონი მერაბის უახლოესი მეგობარი, ალჯამეინ სტერლინგი გახლავთ და საჩემპიონო ქამარიც სწორედ მას არტყია წელზე. UFC-ის შეფი დანა უაითი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლა სწორედ დვალიშვილსა და სტერლინგს შორის გაიმართოს, მეგობრები ერთმანეთის წინააღმდეგ ჩხუბზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ, თუმცა...

„ჩემს ძველ მეგობარ მერაბს ვესაუბრე და მან მითხრა, რომ ალჯოსთან ჩემპიონის ტიტულისთვის მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში იჩხუბებს – ბრძოლა საქართველოში უნდა გაიმართოს. ვიცოდი, რომ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდნენ და ამიტომ, სტერლინგსაც ვესაუბრე. მან დამიდასტურა, რომ თუ ორთაბრძოლას საქართველო უმასპინძლებს, ისიც თანახმაა“, – ეს განცხადება დვალიშვილისა და სტერლინგის მეგობარმა, კრის უაიდმენმა გააკეთა.

ახლა ჯერი UFC-ის ორგანიზატორებზეა. ჩვენი მხრივ, იმას გეტყვით, რომ თუ საჩემპიონო ბრძოლა საქართველოში ჩატარდება, ამ ყველაფრის ორგანიზებისთვის, იმავე UFC-ის არაერთი მილიონის გაღება მოუწევს, რაც ქვეყნისთვის, როგორც საიმიჯოდ, ისე ფინანსურად, ძალიან კარგი ამბავი იქნება.

მესი არაბეთში 400 მილიონადაც არ მიდის

არაბულმა „ალ ჰილალმა“ ლიონელ მესის ორწლიანი კონტრაქტი და წლიურად, 400 მილიონი ევრო შესთავაზა. ბევრს ეგონა, რომ ასეთი ჯამაგირის შემდეგ, არგენტინელი ახალ სეზონს ახალ კლუბში დაიწყებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – ლეომ არაბ შეიხებს განუცხადა, რომ მომავალი ორი სეზონის გატარება, კვლავ ევროპაში სურს. არაბების პარალელურად, „პარი სენ ჟერმენმა“ მესის ახალი კონტრაქტი და შემცირებული ჯამაგირი შესთავაზა. პარიზელები ცდილობენ, კლუბში მოთამაშეებს ხელფასები დააკლონ და ფეარ-ფლეის პრინციპები დაიცვან, თუმცა შეთავაზების მიუხედავად, ლეო პასუხს აგვიანებს.



„მესის ოცნება „ბარსელონაში“ დაბრუნებაა და ის მხოლოდ ამ კლუბის წინადადებას ელოდება. თუ კატალონიელები არ დაურეკავენ, მესი, ალბათ, ისევ „პსჟ“-ში დარჩება და ისევ ისე უხალისოდ ითამაშებს, როგორც აქამდე“, – წერენ ევროპელი ჟურნალისტები.

კატალონიური მედია კი ირწმუნება, „ბარსელონა“ მზადაა, მესის ახალი, ერთს პლუს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს და არგენტინელი დიდი დაბრუნებისთვის ემზადებაო. ისე, ბარსელონაში, ლეოს საკუთარი აპარტამენტები ჯერაც არ გაუყიდია.

ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოებაში სახელმწიფო რეგულაციები უნდა გამკაცრდეს

ანი სარდლიშვილი

ანა მიქაძე-ჩიკვაიძე: „ევროპას რომ ვუკაკუნებთ, დაივიწყოს ყველამ, თუნდაც რძის წარმოებაში რა უბედურებებიც გვჭირს!“

რძის პროდუქტები, რომლებსაც ბაზარში, ან ბრენდირებულ მარკეტებში ვყიდულობთ, შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის კრიტიკულად საშიში და სახიფათო აღმოჩნდეს. „კურიერი PS“-ის ექსპერიმენტის შედეგად, ჩატარდა კვლევა სხვადასხვა ბაქტერიისა და მცენარეული ცხიმის არსებობის დასადგენად. შედეგების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველა ჩატარებულ ნიმუშში სისუფთავესა და უვნებლობასთან შეუსაბამობაა. რძის პროდუქტი, რაც ადამიანისთვის სუფთა და ჯანსაღ საკვებთან უნდა ასოცირდებოდეს, რეალურად, ნაწლავური ჩხირებით, ტრანსცხიმებითა და ბაქტერიებითაა სავსე. როგორ ხდება რძის პროდუქტებზე კონტროლი და რა სახის ღონისძიებებია საჭირო ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად? როგორია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და რამდენად კონტროლირებადია რძის პროდუქტების გაყიდვა? – „ვერსია“ ყველის ასოციაციის თავჯდომარე ანა მიქაძე-ჩიკვაიძეს ესაუბრა:

– მე ყველის ისტორიის მკვლევარი ვარ, ეთნოგრაფიის კუთხით, რეცეპტების შემგროვებელი. 17 წელია, ამ საქმეს ვემსახურები და ბუნებრივია, პრობლემების მთელი ეს ნუსხა ჩემთვის ცნობილია. პირველი, რასაც აკეთებს ნებისმიერი, ადამიანის მოყვარე სახელმწიფო, ამკაცრებს რეგულაციებს, რადგან ძროხა, თხა, კამეჩი – ყველაფერი, რაც გვაძლევს რძეს, ბიოლოგიური არსებაა. ამიტომ, მინდა, ეს მტკივნეულად არ განიცადონ ფერმერებმა, არ მიიღონ პირად შეურაცხყოფად... ამ ბიოლოგიურ არსებას ყველა ის დაავადება ემართება, რაც უნდა დაემართოს. თუ ეს არსებები ჩვენ გვაძლევენ სარჩოს ანუ ვიკვებებით მის მიერ მოცემული ნედლეულით, ბუნებრივია, ყურადღება გაათმაგებული უნდა იყოს, ჩასაფრებული უნდა იყო, რომ არაფერი გამოგეპაროს. პირველი, ვინც ამას აკონტროლებს, ადამიანია და რასაც აკეთებს საოჯახო მეურნეობაში, მიირთმევს თვითონ. პირველი რისკ-ჯგუფი სწორედ ფერმერები და წვრილი მეურნეობები არიან, შემდეგ უკვე ის ადამიანები, რომლებიც იძენენ მათგან რძეს და იწყებენ წარმოებას, შემდეგი რგოლია მომხმარებელი ანუ მე და თქვენ, ყველაზე ბოლო რგოლი ვართ იმ ჯაჭვისა, რომელმაც გამოიარა რძის შეგროვება, მოვიდა ქარხანამდე, ქარხანამ გააკეთა პროდუქტი, მიაწოდა მაღაზიას, ან რესტორანს და შემდეგ ვიყიდეთ ჩვენ. ამას ჰქვია ზუსტად მიკვლევადობის სამსახური, ამიტომაა სახელწმიფო აუცილებელი ინსტრუმენტი მინდვრიდან – სუფრამდე. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ამ ტერმინებით ოპერირებს და გვეუბნება პრობლემაზე. მინდორში რომ დაავადება აიკიდა ბიოლოგიურმა არსებამ, ძროხამ, ბუნებრივია, თუ ვეტერინარი არ დახვდება მზად, ის დაავადება შევა ფერმაში, ფერმიდან – წარმოებაში. შეიძლება მინდვრიდან ძროხა მივიდა კარგად ნაკვები, არაფერი დაავადება არ მიიტანა, ჩავთვალოთ, რომ ფერმაშიც იდეალური გარემოა და იქ დაბინძურების კერა არ არის, რაც ძალიან მეეჭვება, ასევე, მწველავი იყო დაბანილი, დაქლორილი ხელებით და სუფთად გააკეთა, დავუშვათ ეს ოცნებასა და ილუზიაში, მაგრამ გზაში, როცა მოგვქონდა ქარხნიდან მაღაზიამდე, არ იყო სათანადოდ შეფუთული და დაბინძურდა, ეს ყველაზე იდეალური ვარიანტია, ამიტომ მიკვლევადობის სამსახური იმდენად უნდა იყოს ჯაჭვურად ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი რგოლიც არ ჩავარდეს, ამის მაკონტროლებელი სწორედ სახელმწიფოა.

რძე ყველაზე მგრძნობიარე ნედლეულია და ძალიან მარტივად ბინძურდება. შესაძლოა, უამრავ ადგილას დაბინძურდეს და ეს მხოლოდ ფერმერის ბრალი არ არის, დიდი რგოლი და ჯაჭვია წარმოების, მათ შორის, ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოები, სურსათის უვნებლობის სამსახური. აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო და გამოვხატო ჩემი უდიდესი პატივისცემა ამ გუნდის მიმართ, ძალიან ცოტანი არიან და ეს არის ჩვენი უბედურება, თორემ სურსათის უვნებლობის უმაღლესი კლასის სამსახური გვყავს. ამ მაღალი კლასის პროფესიონალიზმს რომ არ ვიყენებთ – ხუთასი კაცის საქმეს ხუთი კაცი რომ ვერ გააკეთებს, ეს ხომ უფრო უკეთ უნდა იცოდეს უფრო ზემდგომმა სტრუქტურამ, პრემიერ-მინისტრმა. რატომ შეიძლება, ასეთი მცირერიცხოვანი არმია გვყავდეს მაშინ, როდესაც უზარმაზარი პრობლემები გვაქვს. არავინ იცის იმ ნახირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც მინდორშია მიშვებული.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ინტენსიური განათლებაა საჭირო. აქცენტი უნდა გაკეთდეს, რომ შესაძლოა, გლეხმა არ იცოდეს, რა დაავადება აიკიდა მისმა საქონელმა. თამამად შეიძლება, რძის ეს პროდუქტი, საკუთარ შვილებსა და ოჯახს მიართვას, ამიტომ 24-საათიან რეჟიმში, პრესის, ტელევიზიებისა და ექსპერტების საშუალებით, წერა-კითხის გამავრცელებელი საზოგადოების მსგავსად, უნდა დადიოდეს სოფელ-სოფელ და ეუბნებოდეს, რომ მწველავის ხელი და საქონლის ცური დასაბანია.

რძე ძალიან მგრძნობიარე ნედლეულია და ამაზეა საუბარი. შეიძლება, ხორბალმა, რომელიც მთელი წელი სახლში გვიდევს, იმდენი დაავადება არ აიკიდოს, რამდენიც რძემ ერთ საათში და ერთ წუთშიც კი. ამ ნედლეულს სჭირდება დიდი ყურადღება და მკაცრი რეგულაცია.

– როგორ და რა პერიოდულობით მოწმდება რძის პროდუქტი საქართველოში?

– ესტონეთში რომ ვიყავი, ორშაბათობით მოდიოდა მეწარმე და ორმოცი ფერმიდან რომ ყიდულობდა რძეს, თითოეული მათგანიდან თითო-თითო სინჯარა ჰქონდა მოტანილი და ამოწმებდა. მეყველე ვალდებულია, ყოველ ორშაბათს, სახელმწიფოს ჩააბაროს ანგარიში, ჩვენ კი სამ თვეში ერთხელ ვაბარებთ, ისიც ყველა ფერმის რძეს კი არა, შედარებით კარგი ფერმა ვისაც აქვს, იქიდან მოაქვთ 1 ლიტრი, ჩააბარებენ და ვითომ ეს არის ნაერთი რძე. ამას ვაბარებთ და ვატყუებთ საკუთარ თავსაც და სახლმწიფოსაც. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილსინდისიერ გლეხს, მეწარმეს და ზოგადად, ადამიანს. პასუხისმგებლობაა გადანაწილებული ფერმერს, მწარმოებელს, მომხმარებელსა და სახელმწიფოს შორის, ეს ოთხი მოთამაშე ინსტრუმენტი საერთო ინტერესს უნდა ემსახურებოდეს. თუ არცერთ მათგანს პასუხისმგებლობის გრძობა არ აქვს, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, გაამკაცროს რეგულაცია და კვირაში ერთხელ მოითხოვოს შემოწმება. ამას მოყვება კითხვა, რომ თუ ჩემი ნედლეული ლაბორატორიაში უნდა მივიტანო კვირაში ერთხელ, მაშინ, კეთილი ინებე და გამიიაფე, 50-დან 70-ლარამდე მერყეობს მიკრობიოლოგიური შემოწმება, ეტიკეტებზე დასატანი მახასიათებლების ფასი, რაც ევროპაში, მხოლოდ 2-2.5 ევრო ჯდება.

სამწუხაროდ, ჩვენთან ბევრი რამ არ კეთდება მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ტექნიკა შემოვიდა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, არაჩვეულებრივი ლაბორატორიებიც გვაქვს. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ლაბორატორიების უმრავლესობა კი ისეა დაწკრიალებული, რომ გული გაგინათდება. მახსოვს, შვიდიოდე წლის წინ, საწარმოსთან თანამშრომლობის მცდელობა მქონდა, კიდევ კარგი, მცდელობა იყო და დიდხანს არ გაგრძელდა, ჩემი ხელით მივიტანე რძე და წავიღე ნაერთი ანუ რამდენიმე ფერმიდან აღებული ნიმუში. 14 დასახელების დაავადება იყო რძეში, ზევით-ქვევით დახტოდნენ ლაბორატორიის თანამშრომლები და იძულებულები გახდნენ, რომ ეს გაემჟღავნებინათ. მე მიწვევდნენ ტელევიზიებში, სტუდიებში და რასაკვირველია, ავიტანე უდიდესი ლანძღვა, რომ გლეხის ყველსა და რძეს „ვასამარებ“, რაც ტყუილია! ის საწარმო, სადაც დროებით ვმუშაობდი, როგორც პარტნიორი, ასევე ყიდულობდა იმ რძის პროდუქტს, რომელსაც მიირთმევს გლეხი. როგორ შეიძლება, გლეხი დაასამარო, თუ შენც იგივე ნედლეულზე ხარ დამოკიდებული. კონტროლი რომ გაიზრდება, თქვენი და ჩემი პასუხისმგებლობაც ეგ არის, ჩვენ ვართ ის არმია, რომელიც სახელმწიფოს პირდაპირი მოკავშირეა. მე და თქვენ თუ ვართ პრეტენზიულები და ამბიციურები, რომ არ გვინდა მივირთავთ, რაც ხელში მოგვხვდება, მაშინ სახელმწიფოც ვალოდებული ხდება აგვყვეს. ჩვენ და სახელმწიფო ერთ ნავში ვსხედვართ მაშინ, როდესაც საქმე ჩვენს ჯანმრთელობას ეხება. სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვას ტანდემში, ერთდროულად უნდა უწევდეთ მუშაობა და ერთიანად უნდა ადგენდნენ რეგულაციის ნორმებს, რეკომენდაციებს, კონტროლის მექანიზმებს. ძალიან უნდა გამკაცრდეს რეგულაციები, სხვა არაფერი გვეშველება.

ონკოლოგიური დაავადებების ფონდი იქმნება, რომელსაც არაჩვეულებრივი ქალბატონი აფუძნებს. თავად აქვს ეს პრობლემა და სიამოვნებით მივიღე ამ ფონდის შექმნაში მონაწილეობა, რადგან სწორედ კვება განაპირობებს ჯანმრთელობას. განსაკუთრებით, რძის პროდუქტები, რაც მაღალ რისკ-ჯგუფშია. ამიტომ, როდესაც დიდი რაოდენობით მოვიხმართ რძის პროდუქტებს, კეთილი უნდა ვინებოთ და ჩვენ, ადამიანებმა გამოვიჩინოთ მეტი პასუხისმგებლობა. რეგულაციები არ არის ზეწოლა ბიზნესზე, ეს არის ჩემი და თქვენი ჯანმრთელობის წინაპირობა, ამიტომ შეიძლება, რეგულაცია სხვა რაღაცაში ზედმეტად მომეჩვენოს, მაგრამ როდესაც საკითხი ეხება საკვებს, იქ პირიქით, ჩვენ უნდა ვიყოთ იმდენად პრეტენზიულები, რომ ვეხვეწებოდეთ ხელისფულებებს, გაამკაცრონ შემოწმება.

– ესტონეთი ახსენეთ და, რა გამოცდილებაა უცხოეთში, რას აკეთებს სხვადასხვა ქვეყანა, რომ ისეთი სიტუაცია არ იყოს, როგორიც საქართველოშია?

– ესტონეთში ძალიან ეშმაკური ხერხები აქვთ, თუ ყველის მწარმოებელმა მიიტანა ორმოცი სინჯარა და იქიდან ერთი მაინც აღმოჩნდა საეჭვო, დაავადებების თვალსაზრისით, ამ მეყველეს აქვს უფლება, იმ 4 ტონა რძის გამო, რაც იმ დღეს შეაგროვა, ფერმერს უჩივლოს და გადაახდევინოს ჯარიმა. იქ ისე არიან შეშინებულები, რომ არ დაეკისროთ გადასახადი, დაინტერესებულები არიან, სულ ზეპირად იცოდნენ ძროხის ჯანმრთელობის მდგომარეობა და არაფერი გამოეპაროთ. ეს ყველაფერი გამოწვეულია დასჯის მეთოდით, რეგულაციებით, პასუხისმგებლობის მაღალი დონით. პირუტყვი ბიოლოგიური არსებაა და ყველაფერი ემართება, სამ თვეში ერთხელ რომ მთხოვ საბუთს, იქნებ, გუშინ დაავადდა ჩემი ძროხა, თხა, ან კამეჩი, ამიტომ კვირაში ერთხელ და ეს არის ყველაზე მინიმალური ვადა, აუცილებლად უნდა შემოწმდეს, მაგრამ სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს და ეს შემოწმება გააიაფოს.

პრობლემების ჯადოსნური წრეა და ვფიქრობ, რომ ვინაიდან ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვა სიუჟეტს, მგონია, ხელისუფლება რაღაც კარგს აპირებს. არავის არ უნდა ეწყინოს, რომ რეგულაციები გამკაცრდება. მე პირადად, ნაწლავის ჩხირები მაქვს ორგანიზმში მომატებული, ვხუმრობ ხოლმე, რომ მოსიარულე ლაბორატორია ვარ, მე რომ ყველს შევჭამ და მაწყენს, ესე იგი, ნაწლავის ჩხირებია მომატებულია იმ ყველში. მე ტყე-ტყე ვიარე და 17 წელია, ფერმერებთან ვცხოვრობ, ამიტომ ბევრ ასეთ კერას გადავყრივარ. ჩვენთან რძის პასტერიზაციაა პრობლემა, პასტერიზატორების ის აპარატები ტყუილად უდგათ, რომ არ დააჯარიმოს სახელმწიფომ. ვინ აკეთებს მარილიანი წყლის პასტერიზაციას, მეცინება, ამას რომ მეუბნებიან, მთელი მსოფლიო აკეთებს, რომ არ დაიბუდოს ბაქტერიამ. მარილწყალი არ კლავს ნაწლავის ჩხირებს. ის მარილწყალი წლობით უდევთ ხოლმე ქვის დიდ აბაზანებში, ის აბაზანები უნდა დაიცალოს, თუ მარილი ენანება, უნდა გაუკეთონ პასტერიზაცია იმ წყალს და გაკამკამებული, კარგად გაწურული და გადაწურული უნდა დააბრუნოს იმ აბაზანაში, ოღონდ, ქვის აბაზანა კარგად უნდა დაქლოროს, სანამ უკან ჩაუშვებს მარილწყალში. იმდენ საზიზღრობას შეიძლება გადააწყდე, რომ გული გაგისკდება. ეტყვი და მერე სწყინთ. მე, მაგალითად, ვამბობ ხოლმე, რომ სჯობს, ახლა შენ გეწყინოს, ვიდრე შენი გამოისობით, უამრავი ადამიანი გარდაიცვალოს. ყველის ქარხანა და საოპერაციო ოთახი ზუსტად ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეს, ასეთი მზაობა უნდა იყოს, კეთილი ინებონ, ისწავლონ და შემდეგ დაიწყონ წარმოება, ამოვიდა ყელში თავზე ხელის გაასმა! ყველაფერი უნდა ვთქვათ, სხვა შემთხვევაში, ევროპას რომ ვუკაკუნებთ, დაივიწყოს ყველამ, თუნდაც რძის წარმოებაში რა უბედურებებიც გვჭირს!

ბრმას თვალი აუხილეს

იტალიაში, სრულიად უსინათლო ადამიანს მხედველობა დაუბრუნეს. ქირურგებმა, პაციენტ მამაკაცს, მარცხენა თვალში დარჩენილი ჯანმრთელი ქსოვილის ფრაგმენტები მარჯვენაში გადაუნერგეს. ეს ურთულესი ქირურგიული ოპერაცია მსოფლიოში პირველებმა, ტურინელმა მედიკოსებმა ჩაატარეს. შედეგად, პაციენტს მხედველობა დაუბრუნდა. იტალიელი ემილიანო ბოსკა, იშვიათი ქრონიკული დაავადების გამო, 30 წლის წინ, მარცხენა თვალით დაბრმავდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, მარჯვენა თვალზეც დაეწყო პრობლემები. პაციენტის გამოკვლევისას, ტურინელმა ექიმებმა გაარკვიეს, რომ მიუხედავად სიბრმავისა, მარცხენა თვალის რქოვანა და გარსი ჯანმრთელი იყო და დაასკვნეს, რომ მათი წყალობით, მარჯვენა თვალში მხედველობის დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა. 83 წლის ბოსკას იმედი აღარ ჰქონდა, რომ ოდესმე კვლავ დაინახავდა, თუმცა წარმატებული ოპერაციის შემდეგ, მას სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა და ბედნიერმა მოხუცმა გეგმებიც დააწყო: წავა სათევზაოდ, საცეკვაოდ, იმუშავებს ბოსტანში, ბოსტნეულსა და ყვავილებს მოიყვანს.

ცუდი ძილი ასთმის რისკს ზრდის

რეგულარული არახარისხიანი ძილი 55%-ით ზრდის ასთმის განვითარების რისკს. გენეტიკური მიდრეკილების დროსაც კი, რისკი მხოლოდ 47%-ია, – ასეთ დასკვნებს ჩინელი სწავლულები აკეთებენ. მათი კვლევები ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, რომელშიც 38-დან 73 წლამდე ასაკის 455 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მონაწილეები ანკეტას ავსებდნენ და მათ გამოკვლევები უტარდებოდათ. დაკვირვებების პერიოდში, 17 800 ადამიანს დაუდგინდა ასთმის დიაგნოზი – ისინი დანარჩენებზე ნაკლებგანათლებულები იყვნენ და ცუდი ძილი ჰქონდათ, იყვნენ ჭარბწონიანები და დაავადების მიმართ გენეტიკური მიდრეკილებაც ჰქონდათ. სპეციალისტები ჯანმრთელ ძილში თვლიდნენ 7-9-საათიან ძილს „ტოროლას“ რეჟიმში – უძილობის, ხვრინვისა და დღისით ყოველგვარი თვლემის გარეშე. ასეთ კრიტერიუმებს კვლევაში მონაწილე მხოლოდ 73 000 ადამიანი აკმაყოფილებდა.

კოპოლამ ორმოცწლიანი გადაღება დაასრულა

ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა, ფრენსის ფორდ კოპოლამ დაასრულა ფილმ „მეგალოპოლისის“ გადაღებები, რომელიც ორმოცი წლის წინ დაიწყო. ფილმში მონაწილეობენ ადამ დრაივერი, ნატალი ემაუელი, ობრი პლაზა, ჯეისონ შვარცმანი და სხვები. სამეცნიერი-ფანტასტიკური ჟანრის ფილმი წარმატებულ არქიტექტორზე მოგვითხრობს, რომელიც სტიქიური უბედურების შემდეგ, ნიუ-იორკის აღდგენას გადაწყვეტს. ამ ფილმის იდეა კოპოლას ვიეტნამის ომზე გადაღებული დრამის – „აპოკალიფსი დღეს“ შემდეგ გაუჩნდა, რომელიც ეკრანებზე 1979 წელს გამოვიდა. კინოსტუდიებს თავდაპირველად არ სურდათ მხარი დაეჭირათ რეჟისორის იდეისთვის, ამის გამო, კოპოლა იძულებული გახდა, პროექტი თავად დაეფინანსებინა. ფილმისთვის თანხის მოსაძიებლად მან ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე საკუთარი ღვინის მარნებიც კი გაყიდა.

ალენ დელონი არტ-კოლექციას ჰყიდის

ლეგენდარული ფრანგი მსახიობი ალენ დელონი, ხელოვნების ნიმუშების საკუთარი კოლექციიდან, 80-ზე მეტ ნამუშევარს გაყიდის Bonhams-Cornette de Saint Cyr-ის აუქციონზე. ვაჭრობა ივნისში უნდა გაიმართოს. გასაყიდად გამზადებული კოლექციის ღირებულება 4-5 მილიონ ევროდაა შეფასებული. აუქციონის გამართვამდე, ნამუშევრებს გამოფენენ ნიუ-იორკში, ჰონგ-კონგში, ჟენევაში, ლონდონსა და პარიზში. აღსანიშნაია, რომ დელონის კოლექციაშია ეჟენ დელაკრუას, ვერონეზეს, რაულ დიუფის ნამუშევრები. 2007 წელს, პოპულარულმა მსახიობმა უკვე გაყიდა თანამედროვე მხატვრების ათობით ნახატი, რაც იმით ახსნა, რომ არ მოსწონს იდეა, მისი კოლექცია სიკვდილის შემდეგ გაიყიდოს. 2016 წელს, ალენ დელონმა აუქციონის საშუალებით გაყიდა ღვინის, საათებისა და იარაღის საკუთარი კოლექციაც.

მთვარის მისიის ეკიპაჟი წარადგინეს

აშშ-ის კოსმოსურმა სააგენტომ NASA იმ ოთხი ასტრონავტის ვინაობა გაამხილა, რომლებიც მომავალ წელს, მისია Artemis-2-ის ფარგლებში, მთვარეზე გაემგზავრებიან. BBC-ის ინფორმაციით, ეკიპაჟის შემადგენლობაში არიან კანადელი ჯერემი ჰენსენი და სამი ამერიკელი ასტრონავტი – კრისტინა კოხი, ვიქტორ გლოვერი და რიდ ვაისმენი. NASA-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დედამიწის თანამგზავრისკენ ბოლო ფრენიდან 50 წელზე მეტი გავიდა. მთვარის ახალ მისიაში პირველად მიიღებს მონაწილეობას სუსტი სქესის წარმომადგენელი, აფროამერიკელი და კანადელი. როგორც სააგენტოში ვარაუდობენ, ფრენა 2024 წლის ბოლოსკენ უნდა შედგეს და ეს მისია ათ დღეს უნდა გაგრძელდეს. ასტრონავტები ხომალდ „ორიონზე“, მთვარის ორბიტას მიუახლოვდებიან და დედამიწაზე დაბრუნდებიან. Artemis-1 2020 წლის დეკემბერში, უპილოტო რეჟიმში გაუშვეს. მან მთვარის ორბიტაზე რამდენიმე კვირა გაატარა და დედამიწაზე დაბრუნდა. თანამგზავრზე კიდევ ერთი მისია 2025 წლისთვის იგეგმება, როცა ასტრონავტები მთვარეზე გადასხდებიან.

უხუცესი ტატუ-ოსტატი Vogue-ის გარეკანზე

106 წლის ფილიპინელი ტატუს ოსტატი, აპო ვანგ-ოდი ჟურნალ Vogue-ის გარეკანზე მოხვდა. ეს მხცოვანი ქალბატონი მსოფლიოში უხუცესი ტატუ-არტისტის წოდებას ატარებს. ტატუს კეთება მან 16 წლის ასაკში დაიწყო. ბოლო 15 წელია, მასთან სხეულის მოსახატად, ყოველწლიურად, ათასობით მსურველი ჩადის მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ვანგ-ოდი ტატუს ბატოკის ტექნიკით ქმნის, რომელიც საუკუნეებს ითვლის. ასეთ ტატუს სხეულზე სპეციალური ბამბუკის ჯოხით, ნახშირისა და წყლის მეშვეობით ხატავენ.

არჩევნებში მონაწილეობა კენედისაც სურს

ამერიკელმა იურისტმა რობერტ ფრენსის კენედი-უმცროსმა, რომელიც ქვეყნის 35-ე პრეზიდენტ ჯონ კენედის ძმისშვილია, განაცხადი გააგზავნა 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად დარეგისტრირებაზე, დემოკრატიული პარტიიდან. ფედერალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელიც პასუხისმგებელია ფედერალურ დონეზე არჩევნების ორგანიზებაზე, უკვე დაადასტურა მისგან დოკუმენტების მიღების ფაქტი. კენედი-უმცროსი 69 წლისაა და საზოგადოებაში ცნობილია, როგორც ეკოაქტივისტი და ანტივაქსერი. ვაქცინების მიმართ მისი სკეპტიკური დამოკიდებულება ადრეული წლებიდან იღებს სათავეს, კოვიდპანდემიის დროს კი, მან ანტივაქსერების ახალი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეიძინა. რობერტ კენედიმ წიგნიც გამოსცა – „ნამდვილი ენტონი ფაუჩი“, რომელშიც აშშ-ის ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი და პრეზიდენტის მთავარი სამედიცინო მრჩეველი „დასავლური დემოკრატიის ისტორიულ გადატრიალებაში“ დაადანაშაულა.

ერთი თვის წინ, კენედი-უმცროსმა „ტვიტერზე“ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც წერდა: „თუ არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას, ჩემი მთავარი პრიორიტეტი იქნება სახელმწიფო და კორპორატიული ძალაუფლების კორუფციული შერწყმის დასრულება, რომელმაც ჩვენი ეკონომიკა გაანადგურა, დაანგრია საშუალო კლასი, დააბინძურა გარემო, მოწამლა ჩვენი შვილები და გაძარცვა მთავარი ღირებულებები და თავისუფლება“. პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატი, 2014 წელს, მესამედ დაქორწინდა. მისი მეუღლე მსახიობი შერილ ჰაინსია.

ქალის თეთრეულს მამაკაცები უწევენ რეკლამას

ჩინეთში, ქალის თეთრეულის მაღაზიები, პირდაპირ ეთერში რეკლამისთვის მოდელ-მამაკაცებს იწვევენ, რათა მათი ჩვენებები არ დაიბლოკოს. საქმე ის არის, რომ 2016 წლიდან, ქვეყანაში გამკაცრდა რეგულაციები – ქალის შიშველი სხეულის ჩვენება აიკრძალა. თუმცა, ძირითადად, ეს ტელევიზიასა და კინოტრანსლაციებს ეხებოდა. ბოლო დროს, ჩინური ცენზურა ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ ვიდეოსიუჟეტებსაც აქცევს ყურადღებას და ის პირდაპირი ჩართვები, რომლებიც „დრეს-კოდს“ უგულებელყოფენ, იბლოკება. კანონდამრღვევებს, პორნოგრაფიის მუხლით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამის გამო, ქალის თეთრეულის მაღაზიების უმრავლეობა ვიდეო-სტრიმებს მამაკაცი-მოდელების მეშვეობით ახორციელებს.

მარჯვენა ყურით უკეთ გვესმის

იტალიელმა სწავლულებმა გამოარკვიეს, რომ ადამიანები უკეთ აღიქვამენ და ამუშავებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც მარჯვენა ყურით ისმენენ. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მარჯვენა ყურს უკეთ ესმის ლაპარაკი, ადრეც არსებობდა. ეს იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ვერბალური ინფორმაცია თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს მიერ მუშავდება. მკვლევარებმა ამ ჰიპოთეზის შემოწმება რეალურ ცხოვრებაში გადაწყვიტეს. იტალიელთა კვლევები სამ ეტაპად მიმდინარეობდა: პირველის დროს, სწავლულები აკვირდებოდნენ 176 მოხალისის ქმედებას იმ მომენტში, როცა ისინი ცდილობდნენ, თანამოსაუბრისთვის ხმამაღალი მუსიკის ფონზე მოესმინათ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ 72% მოსაუბრისკენ მარჯვენა ყურით ტრიალდებოდა. მეორე ეტაპზე, მკვლევარები კლუბის სტუმრებთან მიდიოდნენ და დაბალ ხმაზე ამბობდნენ უაზრო ფრაზებს და აკვირდებოდნენ, რომელი მხრით მიბრუნდებოდა მათკენ მსმენელი. 160-დან 58% მარჯვენა ყურით ბრუნდებოდა. მესამე ეტაპზე კი სწავლულები ადამიანებს სიგარეტს სთხოვდნენ, მაგრამ მათ ხან მარცხენა ყურთან მიმართავდნენ, ხან – მარჯვენასთან. მათ გაცილებით მეტი სიგარეტი მიიღეს, როცა ადამიანები მარჯვენა ყურით ისმენდნენ თხოვნას. მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის უპირატესობები, რაც ტვინის ფუნქციონალურ ასიმეტრიას უკავშირდება, ყოველდღიურ ურთიერთობებში ვლინდება და სულ ადვილი შესამჩნევია.

ღალატი გენეტიკური დაავადებაა?

ბრიტანელმა სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დაასკვნეს, რომ ღალატი გენეტიკურ დაავადებათა რიცხვს განეკუთვნება. გამოკვლევაში მონაწილეობა 2000-მა ინგლისელმა მიიღო. აღმოჩნდა, რომ 100 ქალბატონიდან, რომლებიც საკუთარ მეუღლეს ღალატობენ, 70%-ის შვილებიც არ გამოირჩევიან ერთგულებით. გამოკვლევამ ისიც აჩვენა, რომ განსაკუთრებით მძლავრია დედის „მოღალატე“ გენი, რომელიც აქტიურად გადაეცემა შვილს, განსაკუთრებით ვაჟებს. როგორც სხვა გენეტიკურ დაავადებასთან, ღალატთან ბრძოლაც, ხშირ შემთხვევაში, უსარგებლოა. ღალატის მკურნალობა შეუძლებელია, – ამტკიცებენ სწავლულები.

აუქციონზე უმსხვილეს ლალს გაყიდიან

Sotheby's-ის აუქციონის სახლი გასაყიდად მსოფლიოში უმსხვილეს ლალის ქვას – „ესტრელა დე ფურას“ გაიტანს. CNN-ის ცნობით, ეს ძვირფასი ქვა 55.22 კარატს იწონის და უდიდესი ლალია, რომელიც ოდესმე, აუქციონზე გაუტანიათ. ექსპერტების ვარაუდით, „ესტრელა“, შესაძლოა, 30 მილიონ დოლარზე მეტად გაიყიდოს. აუქციონზე ვაჭრობა ივნისში, ნიუ-იორკში უნდა შედგეს. ძვირფასი ქვა, რომელიც კაშკაშა წითელი ფერითა და გამჭვირვალობით გამოირჩევა, იშვიათობას წარმოადგენს. ის შარშან, მოზამბიკში, ძვირფასი ქვების მომპოვებელმა კომპანია Fura Gems Inc.-მა აღმოაჩინა, რომლის შტაბ-ბინაც დუბაიში მდებარეობს. თავდაპირველად, უმსხვილესი ლალი 101 კარატს იწონიდა, თუმცა მისი ზომა და წონა დამუშავების შემდეგ შემცირდა.

მეტროს სადგური – პლაჟზე

ნიდერლანდებში, ქალაქ როტერდამის მახლობლად მდებარე ჰუკ-ვან-ჰოლანდის პლაჟზე, Hoekse lijn მეტროს სადგური გახსნეს. ის ზღვასთან ყველაზე ახლოს მდებარე სადგურია მსოფლიოში. მეტროდან ზღვის სანაპირომდე, სულ 40 მეტრია. მშენებლობისას, არქიტექტორებმა გაითვალისწინეს ადგილის კლიმატური პირობები: ქვიშა, ქარი, მარილიანობა, ზღვის წყალი და დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ყველაფერი სადგურს ზიანს არ მიაყენებს. „ამ პროექტში მნიშვნელოვანი თანხა ჩაიდო და ახლა ჩვენ გვაქვს პირველი მეტრო ევროპაში, რომელიც პირდაპირ პლაჟთან ჩადის. ეს უნიკალურია და ეს უდიდესი გამარჯვებაა“, – განაცხადა სადგურის გახსნაზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სულ რამდენიმე მეტროსადგური არსებობს ზღვის სიხლოვეს. მაგალითად, ბარსელონაში, სადგური Barceloneta ზღვის სანაპიროდან 600 მეტრში მდებარეობს. ნიუ-იორკში, კონი-აილენდზე, Stillwell Ave ოკეანის სანაპიროდან 500 მეტრშია, ხოლო სადგური Ocean Pkwy – 170 მეტრში.

ხვრინვა მხედველობას აზიანებს?

ტაივანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ხვრინვა ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის მხედველობაზე. სპეციალისტების დასკვნები 1000 პაციენტსა და 6 000 ჯანმრთელ მოხალისეზე ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ვინც ძილში ხვრინავს, 1.67-ჯერ მეტად ხშირად ხვდება თვალის ისეთი დაავადება, როგორიცაა გლაუკომა (მას თვალის მაღალი წნევა იწვევს). ხვრინვას შეუძლია ინსულტისა და გულის დაავადებების პროვოცირება. დეტროიტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ვიბრაცია, რაც ხვრინვის დროს წარმოიქმნება, ტრავმას აყენებს სისხლძარღვებს, მათ ანთებას და გათხელებას იწვევს. ეს კი, როგორც ცნობილია, ათეროსკლეროზის განვითარების პირველი სტადიაა. სწავლულები აცხადებენ, რომ ხვრინვა ისეთივე საშიშია ადამიანისთვის, როგორც მაღალი არტერიული წნევა.

ყავა გასუქებისკენ გვიბიძგებს

თუკი ადამიანი დღის განმავლობაში, ხუთ ფინჯან არომატულ სასმელს, თუნდაც უკოფეინოს მიირთმევს, მისი წონაში მომატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, – განაცხადეს ავატრალიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეში ხუთი ჭიქა ყავა შინაგანი ორგანოების გარშემო, ეგრეთ წოდებული, ვისცერალური ცხიმის (ცხიმის ყველაზე სახიფათო სახეობა) მოცულობას აორმაგებს. ვისცერალური ცხიმი შინაგანი ორგანოების მუშაობას აფერხებს და ისეთ პროცესებს იწვევს, რაც თავის მხრივ, სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ. თუმცა, მკვლევარების თქმით, ზომიერი რაოდენობით ის სასარგებლოა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს. ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარები ლაბორატორიულ თაგვებს დღეში ხუთი ჭიქის ოდენობის ყავის ულუფებს აძლევდნენ. შედეგად დადგინდა, რომ მღრღნელებს ორჯერ უფრო მეტი ვისცერალური ცხიმი უვითარდებოდათ. მკვლევარების თქმით, ყავის სასარგებლო თვისებების თაობაზე გავრცელებული ცნობების მიუხედავად, მათ დაამტკიცეს, რომ ამ სასმელის ჭარბი რაოდენობა წონაში მომატებას იწვევს.

მზის ენერგიიდან საწვავს მიიღებენ



შვეიცარიულმა კომპანიამ მსოფლიოში პირველი სამრეწველო საწარმოს აშენების შესახებ განაცხადა, რომელიც მზის ენერგიიდან სინთეზ-გაზს მიიღებს, რაც შემდეგ, ნავთად ან ბენზინად უპრობლემოდ გადამუშავდება. სადგური DAWN ენერგიას ჰელიოსტატების მეშვეობით მიიღებს და მას სინთეზ-გაზად გარდაქმნის. ჯერჯერობით, საწარმოს სიმძლავრე მცირეა – სულ 150 ტონა საწვავი წელიწადში. 2030 წლისთვის, შვეიცარიელები ასეთი ქარხანა-სადგურების ქსელის აშენებას გეგმავენ. ამ შემთხვევაში, წელიწადში 875 ათასი ტონა საწვავის მიღებას შეძლებენ.

„ანალგინური ნარკომანია“ საშიშია

„ანალგინისა“ და „ციტრამონის“ ზედმეტი რაოდენობით მიღება დამოკიდებულებას იწვევს და მას ორგანიზმში შეუქცევადი პროცესები მოჰყვება, – აცხადებენ მეცნიერები. ამ შემთხვევისთვის მედიკოსებმა ტერმინიც კი მოიფიქრეს – „ანალგინური ნარკომანია“. ჯერ ერთი, გამაყუჩებლები – „ანალგინი“ და „ციტრამონი“, როგორც სხვა პრეპარატები, ჭარბი მოხმარების დროს, ღვიძლის მუშაობას არღვევენ და ნელ-ნელა შლიან მას. მეორეც, როგორც სწავლულები ამბობენ, ადამიანი ამ ტკივილგამაყუჩებლებზე, შესაძლოა, ისეთივე დამოკიდებული გახდეს, როგორც ნარკოტიკებზე.

აბებს სიმინდი შეცვლის

აშშ-ის ილინოისის უნივერსიტეტის სწავლულებმა იისფერი სიმინდის ახალი ჰიბრიდები წარადგინეს, რომლებიც ნაერთების სხვადასხვა კომბინაციებს შეიცავენ და შეძლებენ გაუმკლავდნენ სიმსუქნეს, ანთებასა და დიაბეტს. სიმინდის – Apache Red ჯიშისგან, მკვლევარებმა გენეტიკურად განსხვავებული 20 ახალი ვარიანტი გამოიყვანეს, რომელთაგან თითოეულს ანტოციანების უნიკალური კომბინაცია აქვს. ანტოციანები ფენოლების კლასის ნატურალური პიგმენტებია, რაც სიმინდის კაშკაშა იისფერს განაპირობებს. როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა, ახალი სიმინდის მიღებული ანტოციანების ექსტრაქტები ცხიმოვანი და იმუნური უჯრედების განვითარებას ცვლიან.

დაავადებას სუნით ამოიცნობს

მანჩესტერის უნივერსიტეტის ქიმიკოსებმა პარკინსონის დაავადების დიაგნოსტიკისთვის ტესტი შექმნეს. ამაში მათ ქალბატონი დაეხმარათ, რომელიც ავადმყოფობას სხეულის სუნით ამოიცნობს. დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ჯოი მილნმა საკუთარი მეუღლის სხეულის სუნის ცვლილება პარკინსონის დაავადების დაწყებამდე, რამდენიმე წლით ადრე შენიშნა. როცა ის ამავე სენით დაავადებულ სხვა ადამიანებს გაეცნო, აღმოაჩინა, რომ მათაც იგივენაირი სუნი ჰქონდათ. ჯოისა და მანჩესტერელი სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად, პარკინსონის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის ტექსტი შექმნეს. კვლევებისას, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ამ დაავადების მქონე ადამიანებს, კანის ცხიმში სპეციფიკური ლიპიდები აქვთ. მათი ვარაუდით, სწორედ მის სუნს გრძნობს ჯოი, პარკინსონით დაავადებულებში. ახალი ტესტი ადგენს, აქვს თუ არა კანის ცხიმში ეს ლიპიდები ადამიანს. ლაბორატორიულ პირობებში, ტესტის სიზუსტემ 95% შეადგინა.

კაკალი სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის

ყოველდღიურად ნიგვზის მოხმარება ნაწლავებში ზრდის სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სწავლულები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომელშიც 30-დან 65 წლამდე ასაკის, ჭარბი წონის მქონე მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დიეტაში ნაჯერი ცხიმები შეცვალეს კაკლითა და მცენარეული ცხიმებით. ექვსკვირიანი ექსპერიმენტის შემდეგ გაირკვა, რომ ნიგვზის ყოველდღიური მოხმარება იწვევს სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის ზრდას ნაწლავებში. დღეში 50-80 გრამი ნიგოზიც კი, დადებით გავლენას ახდენს ნაწლავების მიკროფლორაზე, ამცირებს გულის დაავადებების რისკს და ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებას, – აცხადებენ ექსპერტები.

მიირთვით ბანანი კანიანად

ბრიტანეთის დიეტოლოგების ასოციაცია გვირჩევს, ბანანი კანიანად მივირთვათ, რადგან მასში უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერებებია, ვიდრე რბილობში. როგორც ბევრ სხვა ხილში, ბანანის შემთხვევაშიც, ქერქი მდიდარია უჯრედისით, კაროტენოიდებით, გლუტეინით, კალიუმით, მაგნიუმით. გარდა ამისა, მასში დიდი რაოდენობითაა ტრიპტოფანი – ნივთიერება, რომელიც აუცილებელია სეროტონინის („ბედნიერების ჰორმონის“) გამოსამუშავებლად. უმწიფარი ბანანის კანი მაგარია და მომწარო გემო აქვს, მაგრამ როცა ბოლომდე მომწიფდება, ქერქიც ნაზი და გემრიელი ხდება. ბევრი ადამიანისთვის ბანანის კანიანად ჭამა, ალბათ, წარმოუდგენელია, მაგრამ დიეტოლოგების რწმუნებით, ეს, უბრალოდ, ჩვევაა. დასაწყისისთვის, მსურველებს შეუძლიათ, მთლიანი ბანანის სმუზი მოამზადონ – შეწვან კანიანად, ან 10 წუთით მოხარშონ, მერე გახეხონ და ისე მიირთვან.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.